შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის
სასწავლო უნივერსიტეტი
სამართლის ფაკულტეტი
სისხლის სამართლის სამაგისტრო პროგრამა

თემა: დანაშაულობასთან ბრძოლის ზოგადი დახასიათება

ნაშრომი შესრულებულია სამართლის მაგისტრის
ხარისხის მოსაპოვებლად

სტუდენტი: ნიკა კერესელიძე

ნაშრომის ხელმძღვანელი:
პროფესორი გივი ლობჟანიძე

თბილისი

2019

შინაარსი

ანოტაცია ---------- 3

annotation ---------- 4

შესავალი ----------5

თავი I. ლიტერატურის მოკლე მიმოხილვა----------8

თავი II. პრობლემის კვლევის /ანალიზი----------11

2.1. დანაშაულთან ბრძოლის ისტორია----------11

2.2. დანაშაულთან ბრძოლის მიმართულებები საქართველოში----------21

2.3. დანაშაულთან ბრძოლის პოლიტიკა სხვადასხვა ქვეყნებში----------34

თავი III. კვლევის შედეგები----------48

დასკვნა ----------52

გამოყენებული ლიტერატურა ---------- 54

ანოტაცია

ნაშრომში ადგილი დათმობილი აქვს სამართალდარღვევების პროფილაქტიკის სუბიექტების დადგენასთან, განსაზღვრასთან და კლასიფიკაციასთან დაკავშირებული პრობლემური ასპექტების კვლევას. შეტანილ იქნა წინადადებები სამართალდარღვევათა პროფილაქტიკის სისტემის ორგანიზაციულ-მმართველობითი ელემენტის სამართლებრივი რეგულირების სრულყოფის თაობაზე. იკვლევენ პროფილაქტიკის ახალი სპეციალიზირებული სუბიექტის შექმნის შესაძლებლობას. აღნიშნული კვლევა ეძღვნება სამართალდარღვევათა პროფილაქტიკის სუბიექტების საქმიანობისა და სამართლებრივი რეგულირების პრობლემური ასპექტების განხილვას მოქმედი კანონმდებლობის სრულყოფის თაობაზე წინადადებების შემუშავების მიზნით.

წინა პლანზე წამოწეულია ხელისუფლების დანაშაულთან ბრძოლის პოლიტიკის მიმართულების პრობლემები; სხვადასხვა უწყებებისა და დაწესებულებათა როლი საზოგადოებისა და სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობაში კრიმინოლოგიური ინტელექტის ამაღლებაში; გამოთქმულია აზრი დანაშაულთან ბრძოლის ინსპექციის ან სააგენტოს შექმნა, რომელსაც მინიჭებული უნდა ქონდეს ფართო უფლებები კრიმინოლოგიის ფუნქციების გატარებაზე საზოგადოებისა და სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობაში.

Annotation

The present work puts a great emphasis on the research of the problematic aspects related to the identification, determination and classification of the subjects of the offences prevention. The suggestions were offered with regard to the improvement of the legal regulation of organizational-management aspect of the offences prevention system. The opportunity of creating a new specialized subject of the prevention is being explored. The presented study is dedicated to the activity of the subjects of offences prevention and discussion of the problematic aspects of legal regulation with the aim of working out suggestions for improving the existing legislation.

The problems in the direction of the government policy to fight against crime, the role of various agencies and institutions in the activities of civic and law enforcement bodies for enhancing criminology intellect, are foregrounded. The idea of creating a body or inspection for fighting with crime is proposed, which will be entitled with the wide rights of carrying out criminology functions in the activities of civic and law enforcement bodies.

შესავალი

ნებისმიერი სახელმწიფოს ხელისუფლების პოლიტიკაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია დანაშაულობასთან ბრძოლის პოლიტიკის მიმართულებას, რომელიც ძირითადად განსაზღვრავს დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის სტრატეგიულ მიმართულებებს. აღნიშნული მიუთითებს, რომ იგი წარმოადგენს სისხლისსამართლებრივი ციკლის ყველა სამეცნიერო დისციპლინის (და მათ შორის კრიმინოლოგიის) განვითარების საერთო თეორიულ და მეთოდოლოგიურ ბაზას. სისხლის სამართლის მეცნიერება მოწოდებულია ერთიან თეორიულ სისტემაში მოიყვანოს სისხლისსამართლებრივი საკითხები, კანონის აღსრულების პრაქტიკა, იდეები და მეცნიერ-იურისტთა შეხედულებები და დასკვნები, რათა პრაქტიკული დახმარება აღმოუჩინოს სამართალდამცავ ორგანოებს დანაშაულთან ბრძოლაში. სწორედ, ასე აყალიბებს იგი სამართლებრივი რეგულირების მექანიზმს და ყოველდღიურად ეძებს ახალ-ახალ გზებსა და მეთოდებს საზოგადოებრივი ურთიერთობის პრაქტიკულად სამართლებრივად მოწესრიგებაში.

თემის აქტუალობა. დანაშაულობა წარმოადგენს საზოგადოებრივად საშიშ პროდუქტს, ზიანს აყენებს უპირველესად, საზოგადოების ნორმალურ ფუნქციონირებას, ამდენად მის საწინააღმდეგოდ უპირატესი მნიშვნელობა ენიჭება სოციალური ზომების გამოყენებას. სწორედ სოციალური ზომების გამოყენება

კონტროლის განხორციელების თვალსაზრისით, გვაძლევს ეფექტს და ამავდროულად, საზოგადოებას მხოლოდ მისი გამოყენება შეუძლია დანაშაულის წინააღმდეგ. სახელმწიფოს მხრიდან კი, მხოლოდ სისხლისსამართლებრივი სასჯელის სახით დაპირისპირება დანაშაულობის მიმართ, არ იძლევა სასურველ შედეგს და ხშირ შემთხვევაში, პირიქით, კიდევ უფრო ზრდის დანაშაულობას ქვეყანაში. ჩვენი მოსაზრება უსაფუძვლო რომ არ იყოს, მოვიშველიებთ საქართველოს იურუდიულ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ გ. ნაჭყებიას შეხედულებას დანაშაულის შესახებ, სადაც მეცნიერი განმარტავს, რომ "დანაშაული სოციალური მოვლენაა და მას ძირითადად, სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორები განაპირობებენ, ამიტომ დგება საკითხი, თუ რამდენად მორალურია ამ პირობებში დანაშაულს ვებრძოლოთ სასჯელის მეშვეობით, მაშინ როდესაც დანაშაულობათა წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტურობისათვის გადამწყვეტია დანაშაულის გამომწვევი მიზეზებისა და ხელშემწყობი პირობების წინააღმდეგ სოციალურ-ეკონომიკური, იდეოლოგიურ-პოლიტიკური და სხვა ამგვარი ღონისძიებების განხორციელება. სახელმწიფომ, უპირველეს ყოვლისა, ამ ღონისძიებათა განხორციელებაზე უნდა იზრუნოს და მხოლოდ, ამის შემდეგ შეიძლება მას უფლება ჰქონდეს დანაშაულის ჩადენის წინააღმდეგ დააწესოს სისხლისსამართლებრივი სასჯელი, როგორც დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის დამხმარე საშუალება"[1].

დასახული მიზნები

ნაშრომი ეძღვნება დამნაშავეობასთან ბრძოლასთან დაკავშირებული ყველაზე აქტუალური პრობლემების ანალიზს. ნაშრომში გაანალიზებულია მეცნიერთა აზრი თანამედროვე სისხლის სამართლებრივი კანონმდებლობის განვითარების თვალ-საზრისით. განიხილება ცალკეული ხერხები და მეთოდები, რომლებიც მიმართულია მსოფლიოში დამნაშავეობის შემცირებისკენ და მოცემულია სისხლის სამართლის კანონმდებლობის სრულყოფის რეკომენდაციები.

ამოცანები

[1] გ. ნაჭყებია, სისხლისსამართლებრივი ურთიერთობა და დანაშაულის ცნება, თბ., 2002, გვ. 3.

დასახული მიზნების განსახორციელებლად წინამდებარე ნაშრომში ვეხებით ისეთი საკითხების კვლევას და განხილვას როგორიცაა:

- დანაშაულობასთან ბრძოლის ცნებისა და შინაარსის მიმოხილვა;
- დანაშაულობასთან ბრძოლის ამოცანები და ფუძემდებლური საკითხები ანალიზი;
- დანაშაულობასთან ბრძოლის სუბიექტების კონსტიტუციებრივ-სამართ-ლებრივი საფუძვლებისა და ცნების კვლევა.

კვლევის მეთოდოლოგიური საფუძველი. კვლევის თეორიული საფუძველია მეცნიერული ნაშრომები კრიმინოლოგიასა და სისხლის სამართალში. ნაშრომები, სადაც განხილულია დანაშაულის გამომწვევი მიზეზები და პირობები, დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ამოცანები და გამოწვევები თანამედროვეწ ეტაპზე.

კვლევის მეთოდები. მოცემული ნაშრომი ორიენტირებულია სხვადასხვა მეცნიერული მეთოდების გამოყენებით ხსენებული საკითხების კვლევაზე, სხვადასხვა ქვეყნებში არსებული მდგომარეობის შედარებაზე და საქართველოში არსებული დანაშაულთან ბრძოლის სისტემის ანალიზზე. ნაშრომში გამოყენებულია კვლევის დიალექტიკურ - მეცნიერული, შედარებით - მეცნიერული და ფორმალურ - დოგმატური მეთოდები; ზოგად – სამეცნიერო, ასევე სპეციალური სამართლებრივი მეთოდები. ზოგად–სამეცნიერო მეთოდებიდან აღსანიშნავია ისტორიული კვლევის მეთოდი. აღნიშნული მეთოდების გათვალისწინებით შესწავლილ იქნა დანაშაულთან ბრძოლის აუცილებლობის, პირობების და დანაშაულობასთან ბრძოლის ისტორიული განვითარების თავისებურებები საზრვარგარეთის ქვეყნებშიანი, რამაც მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ადგილობრივი ორგანოების ჩამოყალიბებისა და ფუნქციონირების რეგულირებაზე.

წარმოდეგნილი ნაშრომის კვლევის საგანი ვერ იქნება მხოლოდ ერთი, საქართველოს ეროვნული სისტემით შემოფარგლული და შესაბამისად, კვლევის მსვლელობისას კვლევის ობიექტს წარმოადგენს და განხილულია არა მხოლოდ საქართველოს, არამედ დანაშაულთან ბრძოლის

მეთოდები და ხერხები სხვადასხვა ქვეყნებთან შედარებით. კვლევის მთავარი ხაზი გადის დანაშაულობასთან ბრძოლის იმ პრობლემური საკითხების ანალიზზე, რომლებიც ერთმანეთთან მჭიდროს არის დაკავშირებული და ქმნიან ძირითად და უმთავრეს გარანტიებს სამართლებრივი სახელმწიფოს ფუნქციონირებისათვის. ნაშრომში გამოყენებული სამართლებრივი მეთოდებიდან უნდა აღინიშნოს: დოგმატური და ნორმატიული მეთოდი. კვლევის პროცესში უპირატესად გამოყენებულ იქნა შედარებითი მეთოდი.

თავი I. ლიტერატურის მოკლე მიმოხილვა

ნაშრომზე მუშაობის პერიოდში გამოყენებული იქნება სამეცნიერო ანალიტიკური და სამეცნიერო - პრაქტიკული ლიტერატურა, დისერტაციები, პუბლიკაციები და კვლევები...

კერძოდ, გამოყენებულ იქნა:

ზოგიერთი პრობლემა, რომელიც წინამდებარე კვლევას უკავშირდება, გაშუქებულია ქართველი კრიმინოლოგებისა და სისხლის სამართლის სპეციალისტების – მ. შალიკაშვილის, მ. გაბუნიას, ბესარიონ ზოიძის, ო.გამყრელიძის კრიმინოლიგიის სახელმძღვანეოლეობში და სხვათა ნაშრომებში. აღსანიშნავია პროფესორი გურამ ნაჭყებია 2002 წელს წიგნად გამოცემული მისი ძალიან საინტერესო ლექციების კურსი „სისხლისსამართლებრივი ურთიერთობა და დანაშაულის ცნება“. საქართველოში განათლების სისტემის ძირეული გარდაქმნების პრობლემებს ეხმიანება მისი 2006 წლის ნაშრომი „სისხლის სამართლის მეცნიერების მეთოდოლოგიური ანბანი“,

რომელიც სისხლის სამართლის მეცნიერების მეთოდოლოგიურ პრობლემებს ეძღვნება. საინტერესოა კრიმინოლოგია და სამართალდამცავი სისტემა საქართველოში, გ. ღლონტის რედაქციით, თბ., 2008 - სახელმძღვანელოში გაანალიზებულია კრიმინოლოგია, როგორც მეცნიერება და დანაშულობათა კრიმინოლოგიური კვლევის მეთოდიკა; დახასიათებულია დამნაშავის პიროვნება და დანაშაულებრივი ქცევის მექანიზმი შეწსავლილია დანაშაულის პრევენციის ზოგადი პრობლემები დახასიათებულია საქართველოს სამართალდამცავი ორგანოები: სასამართლო ხელისუფლება, საქართველოს პროკურატურა -- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოები როგორც დანაშაულობასთან ბრძოლის სუბიექტრები და მათი ყფლება მოვალეობანი.

მორის შალიკაშვილი, გივი მიქანაძე, მაია (ზოია) ხასია. სასჯელაღსრულების სამართალი (სახელმძღვანელო-თბილისი 2014) - სახელმძღვანელო სასჯელაღ-სრულების სისტემის საქმიანობის, მსჯავრდებულებთან მოპყრობის მარეგუ-ლირებელი ეროვნული კანონმდებლობისა და საერთაშორისო სტანდარტების ნაერთს წარმოადგენს. გარდა საკანონმდებლო აქტებისა, მნიშვნელოვანი ყურად-ღება ეთმობა ევროპის სასამართლოს პრაქტიკას ადამიანის უფლებათა დარღვევის იმ ნაწილში, რომელიც ასახავს სასჯელაღსრულების სისტემაში ჩადენილ ფაქტებს, რაც ფართო მსჯელობის საშუალებას იძლევა დანაშაულთან ბრძოლისა და დანაშაულობათა პრევენციის კუთხით. ასევე, სახელმძღვანელოში განხილულია სხვადასხვა ქვეყნის პრაქტიკა სასჯელაღსრულების სისტემის საქმიანობასა თუ სასჯელის აღსრულების პროცესთან დაკავშირებით, რაც შედარებითი ანალიზის შესაძლებლობას იძლევა.

სამეცნიერო სტატიები: მ. გაბუნია დანაშაულობის განსაზღვრის თანამედროვე მიდგომები. ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“ №1(24) 2010 ინტერდისციპ-ლინარული სოციოლოგიური, ანთროპოლოგიური და კულტურული კვლევების საფუძველზე გამოვლენილია ანტისოციალურუბის არსი სოციალურ გადახრათა და მათი გენეზის თავისებურებების გამოვლენით. განისაზღვრება თანამედროვე ანტიდევიაციური პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები, რათა თავიდან იქნას

აცილებული და შეამცირონ დანაშაულთა და სხვა სოციალური გადახრები, დაიცვან მოქალაქეების უფლებები და შეინარჩუნონ სოციალური წესრიგი. მონოგრაფია წარმოადგენს სოციოლოგების, კრიმინოლოგების, ადვოკატების, ფსიქოლოგების, მასწავლებლების, სოციალური მუშაკებისა და სხვა პროფესიონალების სამეცნიერო და სოციალურ პრაქტიკულ ინტერესს.

კვაშილავა ა., კრიმინოლოგია, როგორც დამნაშავეობასთან ბრძოლისათვის აუცილებელი მეცნიერება - დანაშაულობა განხილულია, როგორც სოციალურ-სამართლებრივი ფენომენი, მისი წარმოქმნისა და არსებობის მიზეზები და პირობები, დამნაშავის პიროვნული მახასიათებლები და კონკრეტულ დანაშაულთა ჩადენის მექანიზმები და მათი პრევენციის ღონისძიებებi. განხილულია კრიმინოლოგიის საგანი და შინაარსი, როგორც მეცნიერება, კრიმინოლოგიური კვლევის მეთოდები, კრიმინალური ქცევის მექანიზმი, დანაშაულის რაოდენობრივი და თვისებრივი მახასიათებლები, მისი განსაზღვრა, მიზეზები. გამოცემა მოიცავს სამეცნიერო განცხადებებს, რომლებიც გვიჩვენებს ისეთ სოციალურ ფენომენებში, როგორიცაა დანაშაული, მისი გამომწვევი მიზეზები, პირობები და მასთან ბრძოლის მეთიდები და მიმართულებები.

Барановский, Н.А. Антидевиантная политика: теория и социальная практика - მონოგრაფიში ინტერდისციპლინარული სოციოლოგიური, ანთროპოლოგიური და კულტურული კვლევების საფუძველზე გამოვლენილია ანტისოციალურების არსი სოციალურ გადახრათა და მათი გენეზის თავისებურებების გამოვლენით. განისაზღვრება თანამედროვე ანტიდევიაციური პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები, რათა თავიდან იქნას აცილებული და შეამცირონ დანაშაულთა და სხვა სოციალური გადახრები, დაიცვან მოქალაქეების უფლებები და შეინარჩუნონ სოციალური წესრიგი. მონოგრაფია წარმოადგენს სოციოლოგების, კრიმინოლოგების, ადვოკატების, ფსიქოლოგების, მასწავლებლების, სოციალური მუშაკებისა და სხვა პროფესიონალების სამეცნიერო და სოციალურ პრაქტიკულ ინტერესს.

Криминология и профилактика преступлений: учеб. пособие / под общ. ред. В.П. Сальникова. – СПб.: Фонд «Университет», 2001 - სახელმძღვანელოში

დანაშაულობა განხილულია, როგორც სოციალურ-სამართლებრივი ფენომენი, მისი წარმოქმნისა და არსებობის მიზეზები და პირობები, დამნაშავის პიროვნული მახასიათებლები და კონკრეტულ დანაშაულთა ჩადენის მექანიზმები და მათი პრევენციის ღონისძიებებi. განხილულია კრიმინოლოგიის საგანი და შინაარსი, როგორც მეცნიერება, კრიმინოლოგიური კვლევის მეთოდები, კრიმინალური ქცევის მექანიზმი, დანაშაულის რაოდენობრივი და თვისებრივი მახასიათებლები, მისი განსაზღვრა, მიზეზები. გამოცემა მოიცავს სამეცნიერო განცხადებებს, რომლებიც გვიჩვენებს ისეთ სოციალურ ფენომენებში, როგორიცაა დანაშაული, მისი გამომწვევი მიზეზები, პირობები და მასთან ბრძოლის მეთიდები და მიმართულებები.

თავი II. პრობლემის კვლევის/ანალიზი

2.1. დანაშაულთან ბრძოლის ისტორია

როგორც უკვე აღინიშნა კვლევის პროცესში ზოგად–სამეცნიერო მეთოდე-ბიდან აღსანიშნავია და გამოყენებულია ისტორიული კვლევის მეთოდი. აღნიშნული მეთოდების გათვალისწინებით შესწავლილ იქნა დანაშაულთან ბრძოლის აუცილებლობის, პირობების და დანაშაულობასთან ბრძოლის ისტო-რიული განვითარების თავისებურებები საზრვარგარეთის ქვეყნებშიანი, რამაც მნიშვნე-ლოვანი გავლენა მოახდინა ადგილობრივი ორგანოების ჩამოყალიბებისა და ფუნქ-ციონირების რეგულირებაზე და დანაშაულობასთან ბრძოლის ცნება და შინაარსი.

დამნაშავეობასთან ბრძოლა - ერთ-ერთი ყურადსაღები პრობლემაა, რომელიც აწუხებს კაცობრიობას უკვე არა ერთი ასწლეულია. ამ სოციალური ნეგატიური მოვლენის აღმოფხვრის ხერხების ძიება არ შემწყდარა მთელი ეს დრო.

წარმატებები, რა თქმა უნდა, იყო, მაგრამ ისინი ყოველთვის ატარებდნენ წყვეტილ და ხანმოკლე ხასიათს.

დღეს ყოველწლიურად მსოფლიოში სჩადიან 100 მლნ-ზე მეტ დანაშაულს, მსოფლიო ხდება სულ უფრო დანაშაულებრივი. მათგან რუსეთში, ოფიციალური მონაცემებით, - დაახლოებით 3 მლნ დანაშაულს, ხოლო საექსპერტო შეფასებებით (ლატენტობის გათვალისწინებით), - 10-12, ზოგჯერ კი მთელი 15 მლნ[2]. საზოგადოება ეწინააღმდეგება, როგორც შეუძლია, მაგრამ დამნაშავეობა „უტევს ყველა მიმართულებით". „დომინირებად კრიმინოლოგიურ ტენდენციად ახალი ათასწლეულის დასაწყისში რჩება მსოფლიოში დამნაშავეობის მიმდინარე ზრდა, მისი სიმძიმისა და საზოგადოებრივი საშიშროების ზრდა საზოგადოებრივი ურთიერთობების მზარდი მობილური და მიმიკრირებადი კრიმინალიზაციისაგან სოციალურ-სამართლებრივი კონტროლის ერთდროული ჩამორჩენით.

თუ გასული საუკუნის 70-იან წლებში ამერიკელი კრიმინოლოგები საუბრობდნენ „მათი" დანაშაულებრივი საზოგადოების შესახებ[3], მაშინ დღეს ყველა ჩვენთაგანისთვის დროულია ვისაუბროთ ჩვენი დანაშაულებრივი პლანეტის შესახებ. ამ ფონზე კრიმინოლოგები და კრიმინალისტები - მეცნიერები და პრაქტიკოსები დამნაშავეობასთან ბრძოლის სფეროში, აგრეთვე, საზოგადოებრივი პროცესებისა და თვით საზოგადოების მართვის თანამედროვე სოციალური ტექნოლოგიების სფეროში - განაგრძობენ დამნაშავეობასთან ბრძოლის ეფექტური მეთოდების ინტენსიურ ძიებებს[4]. მოცემული ძიებები საშუალებას გვაძლევენ გავაკეთოთ დასკვნა იმის შესახებ, რომ დამნაშავეობასთან ბრძოლა, პირველ რიგში, წარმოადგენს სოციალურ-მმართველობით სფეროს, ზემოქმედებს რა დანაშაულისა და დამნაშავეობის წარმომშობ მიზეზებსა და პირობებზე, რომლებიც გავლენას ახდენენ მათ განვითარებაზე, კერძოდ კი, პირებზე,

---

[2] О.Г. Цыплакова Организованная преступность в России: факторы развития и меры контроля / О.Г. Цыплакова // Организованная преступность в России: философский и социально-политический аспекты. М.: Криминологическая ассоциация, 2010. С. 115.

[3] E.M. Shur Our criminal society / E.M. ShurM.: Knowledge, 2004. P. 143.

[4]ჟ.ჯანაშია, კრიმინოლოგიური კვლევების როლი რეგიონალური პრობლემების გადაწყვეტაში/ჟ.კრიმინოლოგი. გვ.22

რომლებიც სჩადიან დანაშაულს, თვით დამნაშავეობაზე დანაშაულთა რეციდივის დაუშვებლობის მიზნით და თვით დამნაშავეობის დეტერმინაციაზე[5].

ამრიგად, დამნაშავეობის წინააღმდეგ ქმედების სფეროში შედის სამართალ-დამცავი საქმიანობა დანაშაულთა გახსნასა და აღკვეთაზე, დამნაშავეთა გამოვ-ლენასა და მათ დასჯაზე. ყურადღება მივაქციოთ იმ ფაქტს, რომ ბოლო დროს განსაკუთრებით ხშირად ეჭვის ქვეშ დგება ტერმინ „დამნაშავეობასთან ბრძოლის“ გამოყენების დაშვებულობა. გვთავაზობენ მის შეცვლას სხვა ტერმინებით: „კონტროლი“, „წინააღმდეგქმედება[6]“.

ვფიქრობთ, რომ ასეთი შეცვლა კიდევ უფრო მეტად წარმოშობს წინა-აღმდეგობებს მეცნიერ-კრიმინოლოგებს შორის, ვიდრე „დამნაშავეობასთან ბრძოლა“. ასე, სიტყვა „ბრძოლის“ დეფინიცია ენის ლექსიკონებში განისაზღვრება როგორც ურთიერთსაწინააღმდეგო ინტერესების, ჯგუფების, აზრებისა და ა.შ. აქტიური შეჯახება ერთი მეორეზე ბატონობის შეძენის მიზნით. თავისთავად დამნაშავეობასთან ბრძოლას ყოველთვის თან უნდა სდევდეს განსაზღვრული მიზნის მიღწევა. დამნაშავეობა ხომ ისეთი ინტერესებისა და ფასეულობების მატარებელი, რომლებიც ვლინდებიან კანონით დაცულ ინტერესებთან სრულ წინააღმდეგობაში.

მოცემულ შემთხვევაში მიზანი - უპირველეს ყოვლისა, სისხლის სამართლის კანონის მასობრივი დარღვევის დაუშვებლობაა დამნაშავეობის დეტერმინაციისა და მიზეზობრიობის პროცესებზე ზემოქმედების გზით, ხოლო მისი დარღვევის შემთხვევაში - დამნაშავეებისადმი სახელმწიფო იძულების ზომების გამოყენება იმისათვის, რომ მივაღწიოთ მათ უარს დანაშაულებრივ ქცევაზე. კომპრომისი აქ დაუშვებელია არც სახელმწიფოს მხრიდან, არც საზოგადოების მხრიდან.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, დამნაშავეობასთან ბრძოლა - ეს საზოგა-დოების აქტიური შეჯახებაა დამნაშავეობასთან კანონისა და მის მიერ დაცული ინტერესების, ფასეულობების, ქცევის ნორმების ბატონობის უზრუნველსაყოფად,

[5] ჯ. ჯანაშია, XXI საუკუნის გამოწვევა, მონოგრაფია, თბ., 2002, გვ. 360
[6] А.И Долгова. Криминология / А.И. Долгова. М.: Знание, 2000. С. 343

რომელიც ხორციელდება დამნაშავეობის მიზეზებზე, პირობებსა და თვით მასზე მიზანმიმართული შეტევითი საქმიანობის ფორმით[7].

პროფესორი ს.ვ. ბოროდინი წერს: „ჩვენ გამოვდივართ იქედან, რომ დამნაშავეობასთან ბრძოლა, როგორც სოციალური კატეგორია არის მიზანმიმართული საქმიანობა, რომელსაც ატარებს სახელმწიფო და საზოგადოება დამნაშავეობისა და მისი მიზეზების მატერიალისტური გაგების საფუძველზე“[8].

რაც შეეხება „კონტროლს“, ეს სიტყვა აღნიშნავს რაიმეს, ვინმეს შემოწმებას, ვინმეზე, რამეზე დაკვირვებას შემოწმების მიზნით. კრიმინოლოგიაში ამ ცნების გამოყენება დღემდე არ იყო დამაჯერებელი, რაზეც სრულიად დასაბუთებულად წერდა ი.ი. კარპეცი. მაგალითს შეიძლება წარმოადგენდეს სახელმძღვანელოც „კრიმინოლოგია“, სადაც ნათქვამია, რომ კრიმინოლოგია - ზოგადთეორიული მეცნიერებაა დამნაშავეობაზე კონტროლისა და მასთან ბრძოლის მეთოდების შესახებ (ყველა სტადიაზე და მეცნიერებითა და პრაქტიკით გამომუშავებულ ყველა ფორმაში დამნაშავეობასთან ბრძოლის ცნებაში მისი აღკვეთის ჩართვითაც)“[9].

ჩვენი აზრით, იმ ავტორთა პოზიციის მოწყვლადობა, რომლებიც ცდილობენ ტერმინი „ბრძოლა“ შეცვალონ „კონტროლით“, არ იწვევს ეჭვს. მითუმეტეს, ტერმინი „ბრძოლის“ გამოყენებაზე მეცნიერები სრულად არ ამბობენ უარს. აგრეთვე, დიდი ხანია ცნობილია, რომ აღმკვეთი საქმიანობა მოიცავს სოციალური კონტროლის, როგორც პიროვნებასა და მცირე ჯგუფებზე საზოგადოებისა და სოციალური ჯგუფების სოციალურ-სისტემური ზემოქმედების ზომებსაც.

„წინააღმდეგქმედება“, როგორც ტერმინი ნიშნავს სხვა მოქმედების განადგურებას, რაიმეს საწინააღმდეგოდ წასვლას, რაიმესთვის ხელშეშლას. ვარაუდობენ, რომ მოცემული ტერმინოლოგია არ ასახავს ისეთი საქმიანობის არსს, როგორიცაა დამნაშავეობასთან ბრძოლას. რადგან მოცემული დეფინიცია არ მოიცავს

---

[7]ა. კვაშილავა, კრიმინოლოგია, როგორც დამნაშავეობასთან ბრძოლისათვის აუცილებელი მეცნიერება//სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი „კრიმინოლოგი“ 2010 1(5) გვ.29

[8] S.V. Borodin Fighting crime: theoretical model of integrated program / S.V. Borodin. M., 2009. P. 275.

[9] ა. კვაშილავა, კრიმინოლოგია, როგორც დამნაშავეობასთან ბრძოლისათვის აუცილებელი მეცნიერება//სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი „კრიმინოლოგი“ 2010 1(5) გვ.30

დამნაშავეობაზე, როგორც სოციალურ მოვლენაზე ზემოქმედების ზომების მთელ კომპლექსს.

ვარაუდობენ, რომ ბოლო ას-ორას წელიწადში დამნაშავეობის დომინირებულ ტენდენციებს წარმოადგენენ: მისი ინტენსიური ზრდა, თავისი ტემპებით წინმსწრები ხალხთმოსახლეობის ზრდა; დანაშაულებრივი საქმიანობის სფეროების გაფართოება; მისი ორგანიზებულობის, ტექნიკური შეიარაღებისა და თვით დაცულობის ზრდა; დანაშაულთა ჩადენის სულ უფრო დამანგრეველი საშუალებებისა და ხერხების გამოყენება; დანაშაულით მიყენებული ზარალის ზრდა; დანაშაულებრივი გარემოს ტრანსნაციონალიზაცია; დანაშაულთა სუბიექტების ფემინიზაცია; დანაშაულებრივი საქმიანობის საზოგადოებრივი საშიშროების ზრდა და ა.შ. და ყველაფერი ეს დაკავშირებულია არა მემკვიდრეობითობის ცვლილებებთან (რომლის განსაზღვრული გავლენა ადამიანთა ქცევაზე უეჭველია), არამედ გარემოს, ცხოვრების პირობებისა და ადამიანთა საქმიანობის სწრაფ ცვლილებებთან.

"დამნაშავის პიროვნების შესწავლა აუცილებელი რგოლია იმ მოვლენების და პროცესების ჯაჭვში, რომლებიც ერთობლიობაში დანაშაულობის მთლიან სურათს ხატავენ და მასზე მეცნიერული დასკვნების გაკეთების საშუალებას იძლევიან.[10]" ამასთან, "დამნაშავის პიროვნება დანაშაულობის ისეთი შემადგენელი კატეგორიაა, რომლის შესწავლა შესაძლებლობას მოგვცემს შევიმუშაოთ დანაშაულობაზე სოციალური კონტროლის ეფექტური ზომები"[11].

განსაზღვრული და სულ უფრო მზარდი მნიშვნელობა დანაშაულბრივი სამყაროსთვის აქვს ძალაუფლებრივი პოლიტიკური ურთიერთობების არეს. დღეს ის წარმოადგენს ყველაზე მსხვილი დანაშაულებრივი წარმონაქმნებისა და, ძირითადად, მათი ლიდერების ინტერესთა სფეროს, რომლებიც ცდილობენ თავიანთი ლობის შექმნას პარლამენტში, მნიშვნელოვანი პოსტების ფაკავებას, რომლებიც ანიჭებენ მათ უფლებამოსილებათა ფართო წრეს, დამატებით

[10]კრიმინოლოგია. (თ. წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი), რედაქტორი გ. ღლონტი, თბ. 2008 წ, გვ. 97.

[11] მ. გაბუნია. დამნაშავის პიროვნების პრობლემა კრიმინოლოგიაში. ჟურნალი "თემიდა," №4(6), 2010 წ, გვ. 68.

შესაძლებლობებს არალეგალური კაპიტალის ფორმირებაზე ან არალეგალურად მიღებული შემოსავლების დაბანდებაზე.

ჩვენი აზრით, საერთაშორისო დამნაშავეობის, როგორც სისტემურად სტრუქტურირებული სოციალური მოვლენის მნიშვნელოვანი კრიმინოლოგიური ნიშნებისა და თვისებების გამოვლენა საჭიროა არა მარტო სისხლის სამართ-ლებრივი მახასიათებლის ფორმულირებისთვის მასთან ბრძოლის კონკრეტული სამართლებრივი ზომების გამომუშავებისა და სახელმწიფო და სოციალური კონტროლის პროფილაქტიკური ზომების სრულყოფის მიზნით, არამედ იმის შესახებ მკვეთრი ფაქტის გაგებისთვის, რომ თანამედროვე დამნაშავეობა „ერწყმის“ გლობალიზაციის სამყაროს გაცილებით სწრაფად და ეფექტურად, ვიდრე სახელმწიფოების სოციალური პოლიტიკა, რომელთა საქმიანობა უნდა იძლეოდეს შესაძლებლობას, როგორც ნორმალური სოციალური განვითარებისთვის, ისე დამნაშავეობის ტალღისა და მისი სიმძიმის შესამცირებლად სოციალური კრიმინოგენული დეტერმინანტების ნეგატიური ზემოქმედების აღკვეთის გზით.

მსოფლიოში დამნაშავეობის განმსაზღვრელ ტენდენციას წარმოადგენს მისი აბსოლუტური და შეფარდებითი ზრდა (მოსახლეობასთან, ეკონომიკურ განვი-თარებასთან, კულტურასთან და ა.შ. მიმართებაში). ეს არ ნიშნავს იმას, რომ დამნაშავეობა ნებისმიერ ქვეყანაში ყოველთვის მხოლოდ იზრდება. არსებობენ ქვეყნები, სადაც დამნაშავეობა ამ ქვეყნების განვითარების რაღაც პერიოდებში მცირდება ან ხდება მისი დონის სტაბილიზაცია[12].

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მონაცემებით, ზოგადი ტენდენცია მოწმობს იმის შესახებ, რომ მსოფლიოში დარეგისტრირებულ დანაშაულთა წილი ყოველწლიურად იზრდება 1,5-2 %-ით. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მონაცემები, რომლებიც ეხება ზემოთ მითითებულ ტენდენციას, შეიძლება დამოკიდებული იყოს განსხვავებებზე დამნაშავეობის შესახებ ინფორმაციის წარდგენის სტრუქტურაში გაეროს მიმოხილვის ჩარჩოებში რეგიონალურ და ეროვნულ დონეებზე.

[12] И. В. Азарова Предупреждение и актуальные проблемы борьбы с преступностью//ОБЩЕСТВО И ПРАВО, 2012, № 4 (41) გვ.189-190

მსოფლიო დამნაშავეობის რეგიონალური თავისებურებების ანალიზს მკვლევარები მიჰყავს დასკვნამდე იმის შესახებ, რომ დამნაშავეობის ყველაზე მაღალი დონე აღინიშნება ინდუსტრიულად ყველაზე განვითარებულ, სოციალურად მოწყობილ და დემოკრატიულ რეგიონებში. დასტურდება ძნელად აღქმადი დასკვნა: რაც უფრო მაღალია განვითარება, მით უფრო მაღალია დამნაშავეობა. ამასთან ერთად, მიმდინარეობს ქმედებების უნიფიკაციისა და მათი გლობალიზაციის პროცესი[13].

ინდუსტრიულად განვითარებულ სახელმწიფოებს შორის განსაკუთრებულ კრიმინოლოგიურ მნიშვნელობას იძენს ზოგიერთი ქვეყანა: აშშ, საფრანგეთი, გერმანია, ინგლისი და უელსი, იაპონია, რუსეთი. კრიმინოლოგიური მონაცემების ანალიზი მოწმობს ყველა ამ ქვეყანაში (იაპონიის გარდა) დამნაშავეობის მაღალი დონის, მისი ზრდის მაღალი ტემპებისა და საშუალო წლიური ნამატის შესახებ.

ყველაფერი ამის გათვალისწინებით, სახელმწიფოებმა უნდა

–განაგრძონ ეკონომიკური, სოციალური, კულტურული და ჰუმანიტარული ხასიათის საერთაშორისო პრობლემების გადაჭრაში თანამშრომლობის განხორციელება;

–ადამიანის უფლებებისადმი და ძირითადი თავისუფლებებისადმი პატივისცემის წახალისება და განვითარება;

–რასიზმის, რასობრივი დისკრიმინაციის, ქსენოფობიისა და ამასთან დაკავშირებული მოუთმენლობის თანამედროვე ფორმების წინააღმდეგ ბრძოლა;

–საერთაშორისო თანამშრომლობის გაფართოება ეროვნულ საზღვრებზე იმ დანაშაულებრივი ორგანიზაციების მიერ უკანონო საქმიანობისაგან მიღებული შემოსავლების გადარიცხვის თავიდან აცილების მიზნით, რომლებიც იყენებენ საერთაშორისო თანამშრომლობის ნაკლოვანებებს, რათა ამით თავიდან აიცილონ აღმოჩენა;

[13] იქვე, გვ.191

–ტექნიკური თანამშრომლობის პროგრამების განვითარება, რომლებიც მიმართულია დემოკრატიული ინსტიტუტების, კანონიერებისა და ეროვნული ინფრასტრუქტურების განმტკიცებისკენ ადამიანის უფლებების უზრუნველსაყოფად;

–ისეთი ოპერატიული ღონისძიებების ჩატარება, როგორებიცაა კონსულტაციური მომსახურეობების გაწევა, კადრების მომზადების პროგრამების განხორციელება, ინფორმაციის გავრცელება და მისი გაცვლა;

–დამნაშავეობის აღკვეთისა და სისხლის სამართლებრივი მართლმსაჯულების დარგში სტრატეგიის შემუშავება, რომელიც ითვალისწინებს რეგიონალურ პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ მოთხოვნილებებს;

–საერთაშორისო თანამშრომლობის გაფართოება ტრანსნაციონალურ დამნაშავეობის, განსაკუთრებით კი, ორგანიზებული დამნაშავეობის (ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის, ეკონომიკური დამნაშავეობის, კორუფციის, ფულადი საშუალებების უკანონო გადარიცხვის, ეკოლოგიური დანაშაულებისა და კულტურული საკუთრების წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულების ჩათვლით) დამღუპველ გავლენასთან ბრძოლის მიზნით;

–ფედერალურ დონეზე და ფედერაციის სუბიექტებში აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებთან ერთიანი კრიმინოლოგიური სამსახურის ქვეგანყოფილების შექმნა. მოცემულ სამსახურს შეეძლო დამნაშავეობასთან ბრძოლის ორგანიზება მის ყველა ასპექტში, იმ ასპექტების გამოკლებით, რომლებიც კანონით დაკისრებულია სხვა ორგანოებზე. მაგრამ ეს მოითხოვს კრიმინოლოგების კარგად მომზადებულ კადრებს სამეცნიერო კრიმინოლოგიური კვლევების განვითარებას.

–მასობრივი ინფორმაციის საშუალებების კონტროლი, ყურადღების კონცენტრირებით ძალადობაზე, კერძოდ, ფილმებსა და რეპორტაჟებში, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიონ ნეგატიური შედეგები;

–გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეგიდით აქტიური მრავალმხრივი თანამშრომლობის ერთობლივად განხორციელება.

ვავაჯამებთ რა ჩვენი კვლევის შედეგებს, გვინდოდა აღვენიშნა ის ფაქტი, რომ დამნაშავეობის აღკვეთის ხერხებისა და საშუალებების ძიებები არ შეწყდება

არანაირი პირობებისას - წინააღმდეგ შემთხვევაში კაცობრიობა უბრალოდ დაიღუპება.

უფრო მეტიც, ახალ ასწლეულში ჩნდება სოციალური კონტროლის ახალი მექანიზმები ელექტრონული თვალთვალისა და კონტროლის თანამედროვე ტექნიკის გამოყენებით. საბუნებისმეტყველო და ზუსტი მეცნიერებების შესაძლებლობები სულ უფრო ინტენსიურად და ეფექტურად იქნებიან გამოყენებული სხვადასხვა ქვეყნებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების სამართალდამცავ საქმიანობაში, რომლებიც დაკავებულნი არიან დამნაშავეობასთან ბრძოლის საქმის შესწავლით და ორგანიზაციით. სხვადასხვა ქვეყნების კანონმდებლობა მზად უნდა იყოს ახალშემონაღებთა ადეკვატური შეფასებისთვის. ზოგიერთი ეს საკითხი უკვე წამოჭრილი იყო გაეროს უკანასკნელ კონგრესებზე.

მეცნიერები საუკუნეების განმავლობაში სწავლობდნენ დანაშაულობის წარმოშობის მიზეზებს. დანაშაულთა წინააღმდეგ ბრძოლის პროგნოზირების სისტემის შექმნა დაკავშირებულია მთელ რიგ პრობლემებთან. ყველა დანაშაული და ნებისმიერი ნორმიდან გადახრილი ქცევა საჭიროებს ღრმა ანალიზს და გამოკვლევას, რასაც დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. დამნაშავის პიროვნული თავისებურებების შესწავლა ერთ-ერთ საკვანძო საკითხს წარმოადგენს. კრიმინოლოგიის განვითარებამ განაპირობა სხვა მრავალი მეცნიერების დარგის ინტერესი დამნაშავის პიროვნების მიმართ. დღესაც აღნიშნული საკითხი კრიმინოლოგიის, კრიმინალისტიკის, სოციოლოგიის და ფსიქოლოგიის ერთ-ერთ აქტუალურ პრობლემად რჩება.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს დამნაშავის კონსტიტუციის ჩამოყალიბებისას ბიოლოგიური და სოციოლოგიური ფაქტორების მნიშვნელობის განსაზღვრა.

კონსტიტუცია (constitutio) არის ორგანიზმის მორფოლოგიური და ფუნქციური, მათ შორის ფსიქიკური თავისებურებების ერთობლივობა, რომელიც განსაზღვრავს ორგანიზმის რეაქტიულობას და ყალიბდება მემკვიდრეობის საფუძველზე, გარემო ფაქტორების ზეგავლენის შედეგად. სწორედ კონსტიტუცია განსაზღვრავს

ფიზიოლოგიური და პათოლოგიური პროცესების მიმდინარეობას, ორგანიზმის ადაპტაციურ თვისებებს და პათოლოგიურ წინასწარგანწყობას. ცნობილია რომ ორგანიზმის მორფოლოგიური თავისებურებები განაპირობებენ ფუნქციურს და პირიქით, ფუნქციური ცვლილებები იწვევენ მორფოლოგიურ ცვლილებებს.

მეტად მნიშვნელოვანია დამნაშავის პიროვნების ჩამოყალიბებისას ძირითადი გამომწვევი ფაქტორის გამოვლენა. ფართო გავრცელება ჰპოვა თეორიამ ბიოლოგიური ფაქტორების შესახებ. ავტორების აზრით, სწორედ ბიოლოგიური ფაქტორები განაპირობებენ ადამიანის განსხვავებულ დამოკიდებულებას და რეაგირების ტიპს გამაღიზიანებელზე და რომ დანაშაული ისეთივე ბიოლოგიური პროცესია, როგორც დაბადება, სიკვდილი და სხვ.[14]

სამართალდარღვევათა პროფილაქტიკა ფართო გაგებით წარმოადგენს სოციალურ მოვლენას, რომელიც წარმოიქმნება და ფუნქციონირებს საზოგადოებაში ინდივიდებსა და მათ გაერთიანებებს შორის. შლიან რა სამართალდარღვევათა პროფილაქტიკის ცნებას, კრიმინოლოგები, როგორც წესი, მიუთითებენ პროფილაქტიკური საქმიანობის მიზანმიმართულობაზე ან მიღებული პროფილაქტიკური ზომების ხასიათზე, აღნიშნავენ პროფილაქტიკის ობიექტს, აღწერენ პროფილაქტიკური ზემოქმედების მექანიზმს. რიგი ავტორები სამართალდარღვევათა პროფილაქტიკის ცნების განსაზღვრაში მიუთითებენ მის სუბიექტებსაც - სახელმწიფოსა და საზოგადოებას; საზოგადოებას, სოციალური კონტროლის ინსტიტუტებს, ცალკეულ მოქალაქეებს .

პროფილაქტიკის ცნების განსაზღვრაში მეცნიერების მიერ გამოიყენება რამდენიმე მიდგომა. ავტორთა ერთი ნაწილი სამართალდარღვევათა პროფილაქტიკას განიხილავს როგორც საქმიანობას, რომელიც მიმართულია დანაშაულებისა და სხვა სამართალდარღვევებისკენ და|ან მათი დეტერმინანტებისკენ, სამართალდამრღვევებისკენ, სხვები კი მას განიხილავენ როგორც პროფილაქტიკური ზომების სისტემას .

[14] მ.შაქარაშვილი, ქ.შავგულიძე, დამნაშავის ფსიქოფიზიოლოგიური თავისებურებები// სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი „კრიმინოლოგი“, 1(5), 2010, გვ. 38

პროფილაქტიკის, მხოლოდ როგორც პროფილაქტიკური ზომების სისტემის განსაზღვრა მიგვაჩნია ვიწრო განსაზღვრებად, რომელიც არ მოიცავს მოცემული ცნების შინაარსს. ჩვენი აზრით, უფრო წარმატებულია სამართალდარღვევათა პროფილაქტიკის, როგორც საქმიანობის განსაზღვრება, რაც წარმოადგენს მისი სხვადასხვა ელემენტების: პროფილაქტიკის სუბიექტების, პროფილაქტიკის ობიექტებისა და იმ პროფილაქტიკური ზომების ერთობლიობის გამოყოფის წინაპირობას, რომელთა რეალიზაცია ხდება სუბიექტების მიერ ობიექტებთან მიმართებაში.

2.2. დანაშაულთან ბრძოლის მიმართულებები საქართველოში

2004 წლიდან საქართველოს ხელისუფლებისათვის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს დანაშაულთან ბრძოლა და საზოგადოების უსაფრთხოების უზრუნ-ველყოფა, რაც სახელმწიფოს მნიშვნელოვანი ფუნქციებია. ამ მიმართულებით დიდი ძალისხმევა გახდა საჭირო და სისხლის სამართლის სისტემაში მრავალირეფორმა გატარდა[15]. ხელისუფლებამ განსაკუთრებით დიდ წარმატებას მიაღწია ორგანიზებულ დანაშაულთან, კორუფციასთან, საშიში ძალადობით ჩადენილ დანაშაულებთან დაქუჩის წვრილმან დანაშაულთან ბრძოლის თვალსაზრისით. მიღწეულ შედეგებადუნდა აღინიშნოს დანაშაულის დონის შემცირება, დანაშაულთან ბრძოლისა დასაზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფა. ამას ადასტურებს, როგორც,ოფიციალური სტატისტიკური მონაცემები2 დანაშაულობის შესახებ, ასევედანაშაულისა და უსაფრთხოების შესახებ კვლევები, რომლებიც 2010-2011 წლებშიგანხორციელდა. 2006 – 2008 წლებში სახელმწიფოს სისხლის სამართლის პოლიტიკა დადამნაშავეების მიმართ მიდგომები განსაკუთრებული სიმკაცრით გამოირჩეოდა. ხოლო 2009 წლიდან პოლიტიკა შეიცვალა და დაიწყო ლიბერალიზაციის პროცესიევროკავშირისა და სხვა ორგანიზაციების ხელშეწყობითა და დახმარებით. ხელისუფლების წარმომადგენელთა განცხადებით მიღწეული შედეგები, რაცგამოიხატა დანაშაულის დონის კლებით და საზოგადოებრივი უსაფრთხოების გაზრდით, საშუალებას იძლევა, რომ უფრო ლიბერალური მიდგომები დაინერგოსსაქართველოს სისხლის სამართლის სისტემაში. 2008 წელს საქართველოს პრეზიდენტმა განაცხადა, რომ ,,აუცილებელია ახლებურიხედვა და მიდგომები, ჩვენ უნდა გავაძლიეროთ ადამიანის უფლებების დაცვა და ამმიმართულებით გადადგმული პირველი ნაბიჯი ლიბერალური სისხლის სამართლისკანონმდებლობა უნდა იყოს“. მან მიმართა ევროკავშირს დახმარებისა და რეფორმისპროცესში ჩართვის მოწოდებით. 2009 წელს პრეზიდენტის

[15] სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო, სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის სტრატეგია 2016 წელი www.justice.gov.ge/Multimedia%2FFiles%2F2017%2FCJR%20Stra. (გადამოწმებულია 10.05.2019)

ბრძანებულებითდამტკიცდა სისხლის სამართლის რეფორმის სტრატეგია და ახალი სამოქმედოგეგმა, შეიქმნა სისხლის სამართლის რეფორმების მაკოორდინირებელი უწყებათშორისი საბჭო[16], რომელშიც ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთადმოწვეული იყვნენ საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები (დამკვირვებლის სტატუსით), აგრეთვე შეიქმნა რამდენიმესამუშაო ჯგუფი, რომლებიც აქტიურად მონაწილეობენ რეფორმების დაგეგმვის,განხორციელებისა და მათზე ზედამხედველობის პროცესში. ინიცირებულ იქნამთელი რიგი საკანონმდებლო ცვლილებები და პრაქტიკაში დაინერგა რამდენიმეახალი პროგრამა. მთელ ამ პროცესს დახმარებასა და თანადგომას უწევსევროკავშირი[17], აგრეთვე საქართველოში მოქმედი საერთაშორისო ორგანიზაციები.შემუშავდა და მიღებულ იქნა ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, აგრეთვე იუსტიციის მინისტრის ბრძანებით დამტკიცდა სისხლის სამართლისსახელმძღვანელო პრინციპები, აგრეთვე ამოქმედდა ახალი პატიმრობის კოდექსი.

განსაკუთრებულ როლს დანაშაულთა და სხვა სამართალდარღვევათა აღკვეთის საქმეში თამაშობენ ხელისუფლებისა და მართვის ადგილობრივი ორგანოები, რომლებიც ყველა დონეზე ახორციელებენ პროფილაქტიკური საქმიანობის მართვას, აგრეთვე, უშუალოდ არიან დაკავებულები მისი ჩატარებით.

პროფილაქტიკის სრულფასოვან და სრულუფლებიან არასპეციალიზი-რებულ (დამხმარე) სუბიექტებს მის ყველა დონეზე წარმოადგენენ ჯანდაცვის, განათლების, სოციალური დაცვის, კულტურის, სპორტისა და ტურიზმის დაწესებულებები და სხვ. მათი საქმიანობის შინაარსი და ფორმები საშუალებას გვაძლევენ დავასკვნათ მათ მიერ დანაშაულთა და სხვა სამართალდარღვევათა განსაზღვრული ფუნქციების (ნარკომანებისა და ალკოჰოლიკების, ცხოვრების რთულ პირობებში მყოფი პირების, დევიანტური ქცევის მოზარდების მხრიდან დანაშაულთა დაუშვებლობისთვის ზომების, აღმზრდელობითი ზომების და ა.შ.)

[16] 2008 წლის 13 დეკემბრის პრეზიდენტის ბრძანებულება N 591

[17] ევროკავშირის სექტორული პოლიტიკის პირდაპირი საბიუჯეტო დახმარების პროგრამა ,,საქართველოში სისხლის სამართლის მართლმსაჯულების რეფორმის მხარდაჭერა", CRIS No.ENPI/2007/19630

უშუალო განხორციელების შესახებ. მიგვაჩნია, რომ მოცემული ჯგუფის სუბიექტების საქმიანობის ყველაზე მაღალი შედეგიანობა და ეფექტურობა მიიღწევა არასრულწლოვნების სამართალდარღვევათა პროფილაქტიკის საქმეში.

არასპეციალიზირებული სუბიექტების რიცხვს უნდა მივაკუთვნოთ საზოგადოებრივი ფორმირებებიც, რომლებიც მონაწილეობას იღებენ სამართალდარღვევათა პროფილაქტიკაში: პოლიტიკური პარტიები, საზოგადოებრივი გაერთიანებები და საზოგადოებები, ფონდები, რელიგიური ორგანიზაციები.

მოვიყვანთ სპეციალური პროფილაქტიკის სუბიექტების კიდევ ერთ სახეშეცვლილ და ჩვენს მიერ შევსებულ კომპლექსურ კლასიფიკაციას, რომელიც წარმოდგენილია სამეცნიერო ლიტერატურაში. მოცემული კლასიფიკაციის თანახმად პირველადად გამოყოფენ სამართალდარღვევათა პროფილაქტიკის სამ დონეს და, შესაბამისად, სუბიექტების სამ ჯგუფს, რომლებიც ახორციელებენ სამართალდარღვევათა პროფილაქტიკას: საერთაშორისო დონეზე, სახელმწიფოთაშორის დონეზე, შიდასახელმწიფოებრივ დონეზე.

სუბიექტები, რომლებიც დაკავებულები არიან პროფილაქტიკით საერთაშორისო და სახელმწიფოთაშორის დონეზე, წარმოადგენენ დამოუკიდებელი კვლევის საგანს. შესასრულებელი ფუნქციებიდან, უზრუნველყოფადი მიზნებისა და გადასაჭრელი ამოცანებიდან გამომდინარე, პროფილაქტიკის სუბიექტების შიდასახელმწიფოებრივი დონე, რომელიც წარმოადგენს ინტერესს მოცემული კვლევისთვის, შეიძლება კლასიფიცირებულ იქნეს შემდეგნაირად:

ა) სუბიექტების სამეცნიერო-ტექნიკური დონე. სამეცნიერო დონეზე სუბიექტებს წარმოადგენენ, მაგალითად, დაწესებულებები, რომლებიც ახორციელებენ საინფორმაციო, მეთოდურ, სარესურსო, საკადრო უზრუნველყოფას და აღმკვეთი საქმიანობის მეცნიერულ თანხლებას. სუბიექტების მოცემულ ჯგუფში ჩართულ უნდა იქნენ განათლების დაწესებულებები, რომლებიც დაკავებულები არიან პროფილაქტიკის სპეციალური სუბიექტებისთვის კადრების მომზადებით, გადამზადებით, მათი კვალიფიკაციის ამაღლებით; ხელისუფლებისა და მართვის სახელმწიფო ორგანოების საინფორმაციო, ანალიტიკური ცენტრები, მაგალითად,

რესპუბლიკა ბელარუსის შსს საინფორმაციო ცენტრი; სუბიექტებისთვის, რომლებიც დაკავებულები არიან კვლევებით კრიმინოლოგიის სფეროში: სდ „რსპუბლიკა ბელარუსის გენერალური პროკურატურის კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცების პრობლემების სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრი“, კანონმდებლობის ეროვნული ცენტრის სამართლებრივი კვლევებისა და რესპუბლიკა ბელარუსის სამართლებრივი კვლევების ინსტიტუტი, ბელარუსის მეა-ს სოციოლოგიის ინსტიტუტი და სხვა სამეცნიერო, სამეცნიერო-პრაქტიკული, სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაციები, ცალკეული მეცნირები, რომლებიც დაკავებულები არიან კრიმინოლოგიის პრობლემებით;

ბ) პროფილაქტიკის სუბიექტების სამართალგამოყენებითი (სოციალურ-პრაქტიკული) დონე. მოცემული დონე ქმნის კომპეტენტური სახელმწიფო და სახელმწიფო-საზოგადოებრივი ორგანოების ქვესისტემას, რომლებიც მოწო-დებული არიან კანონმდებლობის აქტების საფუძველზე დაკავდნენ დანაშაულთა და სხვა სამართალდარღვევათა აღკვეთით. მოცემული ქვესისტემა მოიცავს სუბიექტებს, რომლებიც უშუალოდ ახორციელებენ სამართალდარღვევათა პროფილაქტიკის კონკრეტულ ზომებს კომპეტენციის (სამართალდამცავი ან საკონტროლო საქმიანობის) ჩარჩოებში და სუბიექტებს, რომლებიც ახორციელებენ პროფილაქტიკის სუბიექტების მართვასა და კოორდინაციას, ზედამხედველობას მათ საქმიანობაზე უწყებათაშორისი ქვედონის ჩათვლით): საკოორდინაციო თათბირები დამნაშავეობასთან და კორუფციასთან ბრძოლის თაობაზე, ხელისუფლებისა და მართვის ორგანოების, სამართალდამცავი და საკონტროლო ორგანოების, პროკურატურის ხელმძღვანელობა;

გ) სამოქალაქო-საზოგადოებრივი დონე. პროფილაქტიკის სუბიექტების ამ ჯგუფში შედის სპეციალიზირებული და არასპეციალიზირებული საზოგადოებრივი ფორმირებები, რომლებიც დაკავებულები არიან სამართალდარღვევათა პროფილაქტიკით;

დ) ინტრაპერსონალური დონე (თვითპროფილაქტიკა). ცალკე ყურადღებას იმსახურებს მეცნიერებაში აღნიშნულ სამართალდარღვევათა პროფილაქტიკის

ყოველდღიური დონე, როდესაც პროფილაქტიკის სუბიექტად გამოდის თვით ობიექტი. პროფილაქტიკის მოცემულმა სახემ ვერ ჰპოვა ღრმა ასახვა სამამულო მეცნიერების შრომებში, მაგრამ ის წარმოადგენს კრიმინოლოგიური კვლევების პერსპექტიულ მიმართულებას.

ნებისმიერი საქმიანობის სუბიექტი წარმოადგენს ფუნქციური უფლებებისა და ვალდებულებების მატარებელს, გააჩნია განსაზღვრული კომპეტენცია მასში მუდმივ ან სისტემურ მონაწილეობაზე მოცემული საქმიანობის მარეგულირებელი ნორმების შესაბამისად. კანონის დებულებების კვლევა საშუალებას გვაძლევს გავაკეთოთ დასკვნა იმის შესახებ, რომ პროფილაქტიკის სუბიექტების სამართლებრივ რეგულირებაში ადგილი აქვს ხარვეზებს და შეუთანხმებლობას. ჯერ ერთი, კანონში არ არის პროფილაქტიკის სუბიექტის განსაზღვრება. მეორეც, პროფილაქტიკის სუბიექტების მარეგულირებელი ნორმები კანონში არ არიან წარმოდგენილი სისტემურად. მესამეც, სამართალდარღვევათა პროფილაქტიკის სუბიექტების სისტემაში არ არის შექმნილი მუდმივად მოქმედი სპეციალური სახელმწიფო ორგანო, რომელიც მოწოდებულია პროფესიულად განახორციელოს სამართალდარღვევათა პროფილაქტიკა[18].

„სამართალდარღვევათა პროფილაქტიკის სუბიექტებს წარმოადგენენ: 1) სახელმწიფო ხელისუფლებისა და მართვის ორგანოები; 2) სახელმწიფო და სახელ-მწიფო-საზოგადოებრივი სამართალდამცავი ორგანოები; 3) სახელმწიფო კონტრო-ლის ორგანოები; 4) სასამართლოები; 5) სხვა ორგანიზაციები და მოქალაქეები აღნიშნული კანონისა და რესპუბლიკა ბელარუსის სხვა კანონმდებლობის შესაბამისად“.

ამასთანავე, მომწიფდა სპეციალიზირებული სახელმწიფო ორგანოს შექმნის (ან დამოუკიდებელ სტრუქტურად გამოყოფის) აუცილებლობა, რომელიც დაკავებულია ძირითადი და ერთადერთი საქმიანობის სახით დანაშაულთა და სხვა სამართალდარღვევათა აღკვეთით. მოცემული ორგანო მოწოდებულია უშუალოდ განახორციელოს კრიმინოლოგიური პროფილაქტიკა, გადაჭრას დამნაშავეობასთან

[18] Д.В.Шаблинская, Субъекты профилактики правонарушений НЦЗПИ http://center.gov.by/ (გადამოწმებულია 10.05.2019)

და სხვა სამართალდარღვევებთან ბრძოლის სტრატეგიული და ტაქტიკური ამოცანები.

დამნაშავეობასთან ბრძოლას საქართველოში გააჩნია სოლიდური სამართ-ლებრივი ბაზა. ფუძემდებლურია საქართველოს კონსტიტუციის ნორმები, საერთა-შორისო ხელშეკრულების წესები, საქართველოში საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპები და ნორმები, კანონები და ქვეკანონიერი ნორმატიული სამართლებრივი აქტები. საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპები და ნორმები, საერთაშორისო ხელშეკრულების წესები მოქმედებენ იმ შემთხვევაშიც, როდესაც ისინი არ არიან გათვალისწინებულნი კანონებით და გააჩნიათ პრიორიტეტი კანონების წინაშე, მაგრამ, რაც ძალზე მნიშვნელოვანია, მათ წინაშე პრიორიტეტი აქვს საქართველოს კონსტიტუციასა. საქართველოს კონსტიტუციის გარდა საქართველოში მოქმედებენ კანონები, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებები, საქართველოს მთავრობის დადგენილებები და სხვა ნორმატიული სამართლებრივი აქტები, რომლებიც არ ეწინააღმდეგებიან საქართველოს კონსტიტუციასა და კანონებს. საქართველოსთვის ტრადიციული იყო კანონმდებლობის დარგობრივი პრინციპი: სისხლის სამართლებრივი, სისხლის სამართლებრივ საპროცესო, სისხლის სამართლებრივ აღმასრულებელი და ა.შ. მიღებულ იქნა კანონები პოლიციის, პროკურატურისა და ა.შ. შესახებ. მაგრამ საქართველოსთვის ახალი, დამნაშავეობაში საზოგადოებრივად ძალზე საშიში მოვლენების წარმოქმნა მოითხოვდა, დარგობრივი კანონმდებლობის შენარჩუნებასთან ერთად, გადასვლას პირდაპირი მოქმედების კომპლექსური კანონების შემუშავებასა და მიღებაზე. კერძოდ, მათ მიეკუთვნება კანონები „კანონი ტერორიზმთან ბრძოლის წინააღმდეგ“ [19].მოცემული კანონებით რეგულირდება ზოგად-ორგანიზაციული საკითხებიც, გაფ-რთხილებაც, სამართალდამცავი საქმიანობაც. დამნაშავეობის ცალკეულ გამოვლინებებთან ბრძოლის საკითხებზე გამოცემულია საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებები, საქართველოს მთავრობის დადგენილებები,

[19] საქართველოს კანონი ტერორიზმთან ბრძოლის წინააღმდეგ police.ge (გადმოწერილია 25.05.2019)

მტკიცდება დამნაშავეობასთან ბრძოლის პროგრამები, დებულებები.

დამნაშავეობასთან ბრძოლის შესახებ საუბრისას, რიგი კონსტიტუციური ნორმების მნიშვნელობიდან გამომდინარე, მხედველობაში უნდა ვიქონიოთ ის, რომ საუბარია, ჯერ ერთი, უფრო ზოგადი პრობლემების შესახებ (კანონიერება, მართლწესრიგი, ადამიანის, მოქალაქის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა) და უსაფრთხოების შესახებ; მეორეც, დამნაშავეობასთან ბრძოლის ცალკეული შემადგენლების შესახებ (სისხლის სამართლებრივი, სისხლის სამართლებრივ საპროცესო კანონმდებლობა და სხვ.); მესამეც, ბრძოლაში მონაწილე ორგანოებისა და მათი საქმიანობის შესახებ[20].

დამნაშავეობასთან ბრძოლის ორგანოების სისტემა აგებულია იმის შესახებ საკონსტიტუციო დებულების შესაბამისად, რომ სახელმწიფო ხელისუფლება საქართველოში ხორციელდება საკანონმდებლო, აღმასრულებელ სასამართლო ხელისუფლებაზე დაყოფის საფუძველზე, რომლებიც წარმოადგენენ ხელისუფლების დამოუკიდებელ შტოებს.

საქართველოს კონსტიტუცია დამნაშავეობასთან ბრძოლას აყენებს განსაკუთრებულ სამართლებრივ ჩარჩოებში. განსაკუთრებით ვრცლადაა რეგლამენტირებული ბრალდებულის მდგომარეობა, სისხლის სამართალში პირის გადაცემის წესი, მისი უფლებებისა და თავისუფლებების სხვადასხვა შეზღუდვები. ამისათვის ბაზას წარმოადგენენ საქართველოს კონსტიტუციის დებულებები, რომელიც განსაზღვრავს, რომ ადამიანი, მისი უფლებები და თავისუფლებები წარმოადგენენ უმაღლეს ფასეულობას, ხოლო ადამიანისა და მოქალაქის უფლებებისა და თავისუფლებების აღიარება და დაცვა წარმოადგენს სახელმწიფოს ვალდებულებას.

ძალზე მნიშვნელოვანია საქართველოს კონსტიტუციის დებულება იმის შესახებ, რომ ადამიანისა და მოქალაქის უფლებები და თავისუფლებები შეიძლება იყოს შეზღუდული კანონით მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ეს საჭიროა კონსტიტუციური წყობილების საფუძველთა, ზნეობრიობის,

[20] S.V Borodin. Fighting crime: theoretical model of integrated program / S.V. Borodin. M., 2009.P. 277.

სხვა პირების ჯანმრთლობის, უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის, ქვეყნის თავდაცვისა და სახელმწიფოს უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით.

მოცემული ნორმიდან გამომდინარეობს, რომ, ჯერ ერთი, ადამიანისა და მოქალაქის უფლებებისა და თავისუფლებების შეზღუდვა შესაძლებელია, მეორეც, ეს შეიძლება გაკეთებულ იქნეს მხოლოდ კანონით, მესამეც, მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის მოცემულ მუხლში მითითებულ შემთხვევებსა და საზღვრებში. რაც შეეხება დანაშაულებისაგან დაზარალებულებს. დანაშაულებისა და ბოროტქმედებებისაგან დაზარალებულების უფლებები დაცულია კანონით; სახელმწიფო უზრუნველყოფს დაზარალებულებისთვის წვდომას მართლმსაჯუ-ლებასთან და მიყენებული ზარალის კომპენსაციას; თითოეულ პირს უფლება აქვს სახელმწიფოს მიერ სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების ან თანამდებობის პირების უკანონო მოქმედებებით (ან უმოქმედობით) მიყენებული ზარალის ანაზღაურებაზე.

პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა დაცულია ევროპული კონვენციის მე-8 მუხლით, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-17 მუხლით[21], ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენციის მე-8 მუხლით,[22] პერსონალური მონაცემების ავტომატური დამუშავებისას ფიზიკური პირების დაცვის შესახებ ევროპული კონვენციით, საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლით (პირადი ცხოვრების უფლებაში შემავალი ცალკეული უფლებრივი კომპონენტები ასევე დაცულია საქართველოს კონსტიტუცის მე- 16, 36-ე 41-ე და სხვა მუხლებით) და სხვა. სამართალწარმოების ფარგლებში პირადი ცხოვრების უფლებაში ნებადართული ჩარევის ფარგლები და წესი განსაზღვრულია ასევე ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ საქართველოს კანონით, „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“, „პოლიციის შესახებ“ კანონით, პატიმრობის კოდექსით, საქართველოს საგადასახადო კოდექსით და სხვა.

---

[21] საერთაშორისო პაქტი - სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ https://matsne.gov.ge/ka/document/view/1398335?publication=0

[22] ადამიანის უფლებათა და ძირითდ თავისუფლებათა დაცვის კონვენცია, ევროპის საბჭო, 1950.

საქართველოს პოლიცია არის აღმასრულებელი ხელისუფლების განმა ხორციელებელი სამართალდამცავი, სპეციალური, პოლიციური და გასამხედრო-ებული დაწესებულებების სისტემა, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და წესრიგის, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისაგან. პოლიცია თავისი ფუნქციების განხორციელებისას წარმოადგენს სახელმწიფოს. პოლიციის სისტემაში დასაქმებული პირები შეიძლება ატარებდნენ პოლიციის სპეციალურ წოდებებს ან სამხედრო წოდებებს.

"საქართველოს კანონი პოლიციის შესახებ"[23] განსაზღვრავს პოლიციის ამოცანებს, პოლიციის საქმიანობის სამართლებრივ საფუძვლებს და პოლიციის საქმიანობის პრინციპებს. ცხადია, პოლიციელებს აქვთ მკაცრად გაწერილი მოვალეობები. მაგალითად:

- პოლიციელი მოვალეა, მკაცრად დაიცვას მოქალაქის კანონიერი უფლებები სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას;
- მოქალაქესთან ურთიერთობისას მკაცრად დაიცვას სამსახურებრივი ეთიკის ნორმები;
- დაადგინოს დანაშაულისა და სხვა სამართალდარღვევების გამომწვევი მი ზეზები და პირობები;
- გამოიძიოს და აღკვეთოს დანაშაული.

პირადი ცხოვრების დაცულობას უზრუნველყოფს სისხლის სამართლის კოდექსი, რომელიც ითვალისწინებს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის ხელმყოფი ზოგი ქმედებისთვის (სსკ 157-160-ე მუხლები). პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობით დაცულია პროცესში მონაწილე ნებისმიერი პირის პირადი ცხოვრება. მათ შორის იურიდიული პირების კომუნიკაციის და საკუთრების

[23]იხ."საქართველოს კანონი პოლიციის შესახებ"
https://police.ge/files/sajaro_informacia/policiis%20shesaxeb.pdf

ხელშეუხებლობა, სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში მყოფი პირების პირადი ცხოვრება და კომუნიკაცია.

პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობლობის/განმარტოების უფლება, რომელიც ადრე უკავშირდებოდა საკუთრების (მოძრავი/უძრავი ქონების) ხელშეუხებლობას, დღეს წარმოადგენს პირზე ორიენტირებულ კონცეფციას. პირადი ცხოვრების უფლება მოიცავს პირადი ცხოვრების ყველა უფლებრივ კომპონენტს.[24] მათ შორის: პირადი საქმიანობის ადგილს, კერძო სფეროში განხორციელებულ კომუნიკაციას, ოჯახურ ურთიერთობებს, ისევე როგორც სხვა პერსონალურ კავშირებს ადამიანთა გარკვეულ წრესთან[25] სახელის, პერსონალური და ბიომეტრიული მონაცემების, საცხოვრებლის, ოჯახური ცხოვრების (მათ შორის დე ფაქტო ოჯახურ ურთიერთობას, თუ ერთად ცხოვრების ხანგრძლივობა ან/და სიმყარე ადასტურებს ფაქტობრივი ოჯახის არსებობას[26]), იდენტობის/ სექსუალური ორიენტაციის და ცხოვრების საიდუმლოება, გენდერული კუთვნილება, პოლი-ტიკური და რელიგიური შეხედულებები, სამედიცინო გამოკვლევის შედეგები, ინფორმაცია პირის საცხოვრებელი ადგილის, ქონების, შემოსავლის, ნასამართ-ლეობის შესახებ და სხვა. განაპირობებს რა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების არსს, თითოეული მათგანი, იმავდროულად, დამოუკიდებელი შინაარსის მატარებელია. პირადი ცხოვრების ნებისმიერი კომპონენტის ხელყოფისას იზღუდება პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება ზოგადად,[27] თუმცა დარღვევის დასადგენად გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება უფლებაში ჩარევის ინტენსივობას და შესაბამისად, თანაზომიერების პრინციპის დაცვას.

პირად ცხოვრებაში ჩარევას წარმოადგენს ასევე უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლების მიერ კონკრეტული პირების შესახებ მონაცემების სისტემატიური შეკრება და შენახვა, თუნდაც ეს ინფორმაცია იკრიბებოდეს საჯარო ადგილებში ან

[24] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 19/12/2008 წლის გადაწყვეტილება N454, II-2.
[25] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 10/06/2009 წლის განჩინება საქმეზე N458, II-21.
[26] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი 2015 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით. თბ. 2015, გვ.63
[27] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 26/12/2007 წლის გადაწყვეტილება N407, II-4.

ეხებოდეს ადამიანის პროფესიულ და საზოგადოებრივ საქმიანობას.[28] პირად ცხოვრებაში ჩარევას წარმოადგენს ასევე პირის მანქანაზე GPS-ის სისტემის მოწყობილობის დამაგრება, რომელიც აგროვებს ინფორმაციას მისი ადგილსამყოფელისა და გადაადგილების შესახებ.[29] პირადი ცხოვრება იმდენად ფართო კონცეფციაა, რომ არ ექვემდებარება ამომწურავ განსაზღვრას. ტექნოლოგიური პროგრესის გათვალისწინებით, „საზოგადოების განვითარების კვალდაკვალ შეიქმნება ახალი ინსტიტუტები, რაც პირად ცხოვრებასთან დაკავშირებული

მნიშვნელობა აქვს, აგრეთვე, რიგ სხვა კონსტიტუციურ დებულებებს.

საქართველოს კონსტიტუცია არეგულირებს მხოლოდ და მხოლოდ სახელმწიფო ორგანოების საქმიანობას დამნაშავეობასთან ბრძოლაზე. მართალია, როგორც უკვე ზემოთ აღინიშნა, მასში ნათქვამია საქართველოს მოქალაქეთა მონაწილეობის შესახებ სახელმწიფოს საქმეების მართვაში, მართლმსაჯულების აღსრულებაში.

მ. ლაინე, აგრეთვე, რიგი სხვა ავტორები გამოყოფენ დამნაშავეობასთან ბრძოლის ისეთ სუბიექტებს, როგორებიცაა ექსპერტთა (პროფესორთა, წამყვან ჩინოვნიკთა და ა.შ.) სხვადასხვა ორგანიზაციები. ამ პირობებში მნიშვნელოვანია მოცემული ქვესტრუქტურების შეთანხმებული, კანონზე დაფუძნებული და ეფექტური ფუნქციონირების პრობლემის ოპტიმალური გადაწყვეტილება. მიუხედავად ფუნქციური განსხვავებებისა, მათი საქმიანობა უნდა ემორჩილებოდეს ერთიან მიზანს. ქვეყანაში ორგანიზებულ დამნაშავეობის ექსკალაციის პირობებში ვითარდება და აქტიურად ფუნქციონირებს „ჩრდილოვანი იუსტიცია“. როგორც წესი, დამნაშავეთა გარემოს ლიდერების მონაწილეობით იჭრება ქონებრივი და სხვა დავები, ამასთანავე, უზრუნველყოფილია გადაწყვეტილების რეალური შესრულება.

საქართველოს შინაგან

[28] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი 2015 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით. თბ. 2015, გვ.63

[29] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი 2015 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით. თბ. 2015, გვ.63-64

საქმეთა სამინისტროს დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის/პოლიციის სფეროში (მათ შორის: ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში) ორმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებები გაფორმებული აქვს მსოფლიოს 20 ქვეყანასთან. საერთაშორისო თანამშრომლობის კუთხით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთ–ერთი მთავარი პრიორიტეტია აღნიშნული ორმხრივი საერთაშორისო სამართლებრივი ბაზის განვითარება და გაფართოება. აქედან გამომდინარე, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ შეიმუშავა დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების სამოდელო პროექტი, რომელიც განსახილველად გადაეგზავნა საქართველოს პარტნიორ ქვეყნებს, მათ შორის NATO-სა და ევროკავშირის ყველა ქვეყანას და აგრეთვე შესაბამის არაბულ ქვეყნებს. შეთანხმებები რამდენიმე ქვეყანასთან უკვე მზად არის ხელმოსაწერად, დანარჩენი კი მოლაპარაკებებისა და განხილვის პროცესშია. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის მნიშვნელოვანია საქართველოს მეზობელ ქვეყნებთან ორმხრივი სამუშაო ჯგუფების ფარგლებში არსებული თანამშრომლობის შენარჩუნება, განვითარება და გაძლიერება. ხსენებული სამუშაო ჯგუფების შეხვედრები იმართება წელიწადში ერთხელ ან საჭიროებისამებრ, ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში არსებული საჭირბოროტო საკითხების განსახილველად, ინფორმაციისა და საკონტაქტო დეტალების გასაცვლელად. ორმხრივი თანამშრომლობის კუთხით, ასევე დიდი მნიშვნელობა ენიჭება პოლიციის ატაშეების/მეკავშირე ოფიცრების ფარგლებში არსებული თანამშრომლობის შენარჩუნებას, განვითარებასა და გაძლიერებას. აღნიშნული თანამშრომლობა საკმაოდ სწრაფი, მოქნილი და ეფექტურია ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის სფეროში.

ორგანიზებული დანაშაულობის პრევენციისათვის ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს დამნაშავეთა რესოციალიზაციას და მათ შემდგომ ინტეგრაციას პატიოსან მოქალაქეთა რიგებში[30]. ეს უფრო მეტად ეხება არასრულწლოვანებს და ახალგაზრდებს, რომლებიც სხვადასხვა გარემოებათა გამო მოხვდნენ საპატიმრო

[30] ქართველოს ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული სტრატეგია თბ. 2013 https://www.matsne.gov.ge/

დაწესებულებებში. ცხადია, ისინი შედიან რისკჯგუფებში, რომლებმაც შემდგომში შესაძლებელია შეავსონ კრიმინალთა რიგები. ასეთ დროს მნიშვნელოვანია, ახალგაზრდა პატიმარს მიეცეს დაშვებული შეცდომის გამოსწორების საშუალება და არ იგრძნოს თავი გარიყულად საზოგადოებისგან.

ფინელი კრიმინოლოგი მ. ლაინე წერს: „სულ უფრო მნიშვნელოვან ფაქტორს დამნაშავეობასთან ბრძოლის საკითხებში წარმოადგენენ მასობრივი ინფორმაციის საშუალებები. მაგალითად, ბულვარულ პრესას შეუძლია ძლიერ გამოხატოს თავისი თვალსაზრისი დამნაშავეობასთან ბრძოლის საკითხებში ამრიგად გავლენა მოახდინოს... საზოგადოებრივ აზრზე. პოლიტიკოსები ზოგჯერ საზოგადოებრივი აზრის ძალზე შემთვისებლები არიან და ამიტომ მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მნიშვნელობა კიდევ იზრდება“[31]. ასეთი სახის საქმიანობა იქცა პირების განსაზღვრული ფენის შემოსავლების წყაროდ. კრიმინალურ სტრუქტურებთან მჭიდროდაა ურთიერთდაკავშირებული მრავალი კერძო დამცავი და დეტექტივთა სამსახურები. არცთუ იშვიათად მათი საშუალებით კრიმინალური ლიდერები ჭრიან თავიანთ სპეციფიკურ ამოცანებს. „ჩრდილოვანი იუსტიციის“ სისტემის ლიკვიდცია, რომელიც უპირატესად ფუნქციონირებს „კრიმინალურ რეჟიმში[32]“, - ეს ახალი ამოცანაა დამნაშავეობასთან ბრძოლაში.

[31] M Laine. Criminology and sociology of rejected behavior. Prison Service Training Center // International Publications.1994. № 1. C. 110

[32] П.А Скобликов. Взыскание долгов и криминал. М., 1999; Кудрявцев В. Н. Стратегия борьбы с преступностью. М., 1997

2.3. დანაშაულთან ბრძოლის პოლიტიკა სხვადასხვა ქვეყნებში

წარმოდეგნილი ნაშრომის კვლევის საგანი ვერ იქნება მხოლოდ ერთი, საქართველოს ეროვნული სისტემით შემოფარგლული და შესაბამისად, კვლევის მსვლელობისას კვლევის ობიექტს წარმოადგენს და განხილულია არა მხოლოდ საქართველოს, არამედ დანაშაულთან ბრძოლის მეთოდები და ხერხები სხვადასხვა ქვეყნებთან შედარებით. კვლევის მთავარი ხაზი გადის დანაშაულობასთან ბრძოლის იმ პრობლემური საკითხების ანალიზზე, რომლებიც ერთმანეთთან მჭიდროს არის დაკავშირებული და ქმნიან ძირითად და უმთავრეს გარანტიებს სამართლებრივი სახელმწიფოს ფუნქციონირებისათვის. ნაშრომში გამოყენებული სამართლებრივი მეთოდებიდან უნდა აღინიშნოს: დოგმატური და ნორმატიული მეთოდი. კვლევის

პროცესში უპირატესად გამოყენებულ იქნა შედარებითი მეთოდი.

უნდა აღინიშნოს, რომ თანამედროვე მსოფლიო პოლიტიკის ტენდენციის შესაბამისად, რომელიც საბაზისო პოლიტიკური, სახელმწიფოებრივი, სამართლებრივი და საზოგადოებრივი ასპექტების მაქსიმალურ უნიფიკაციას გულისხმობს (რისი დასტურიც არის, თუნდაც ადამიანის უფლებათა საყოველთა დეკლარაცია მიღებული გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ ასამბლეაზე 1948 წლის 10 დეკემბერს და სხვა მრავალი საერთაშორისო, საყოველთაო სამართლებრივი აქტები), დანაშაულთან ბრძოლაც, როგორც დემოკრატიის ხელშემწყობი ერთ – ერთი უმნიშვნელოვანესი ფორმაც, მე – 20 საუკუნის ბოლოდან უკვე საერთაშორისო - სამართლებრივად გახდა ამ შემთხვევაში მსოფლიოს ერთი რეგიონის – ევროპის წევრი ქვეყნების საერთო რეგულირების საგანი, აღნიშნულმა სახელმწიფოებმა განახორციელეს საკუთარ ქვეყნებში დანაშაულთან ბრძოლის ფორმების ერთმანეთთან მაქსიმალური მიახლოვება, ევროპის მოცემული პოლიტიკა მიზანშეწონილია თუნდაც იმიტომ, რომ ასეთი მიდგომით კონკრეტული საკითხი უფრო მეტი და გულსხმიერი ყურადღებისა და პასუხისმგებლობის საგანი ხდება, რადგან საერთაშორისო სამართლებრივი საფუძვლებით ნაკისრი ვალდებულებების განხორციელების პოლიტიკური მხარდაჭერა და მოტივაცია საერთაშორისო ურთიერთობებით არის ნაკარნახები. საერთაშორისო ურთიერთობების სწორად წარმართვა კი ნებისმიერი დემოკრატიული სახელმწიფოს ერთ – ერთი მთავარი პრიორიტეტია.

გვსურდა აღვენიშნა ის ფაქტი, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია ატარებს კონგრესებს დანაშაულთან ბრძოლასა და სამართალდამრღვევებთან მოქცევაზე. ეს პატივცემული ორგანიზაცია ბოლო დროს ექცევა ინტენსიური კრიტიკის ქვეშ ყველა მხრიდან, მაგრამ ის ჯერ ვერანაირად ვერ შეიცვლება და არც ისე ცუდად მუშაობს. რა თქმა უნდა, გაეროს საქმიანობას არ შეიძლება ვუწოდოთ სრულყოფილი, მაგრამ თუ საერთაშორისო სამართლის ესა თუ ის სუბიექტი არ ასრულებს გაეროს გადაწყვეტილებებს ან უბრალოდ არ ძალუძს გაიგოს და

შეაფასოს ამ გადაწყვეტილებების არსი და მასშტაბურობა, მაშინ პრობლემა თვით მასშია და არა გაეროში. თუმცა, ჩვენი მსოფლიო საერთოდ არ არის სრულყოფილი.

გაერო - უნივერსალური ორგანიზაციაა, რომელიც დაკავებულია პლანეტის ყველა პრობლემით. გაეროს ჩარჩოებში 1955 წლიდან მოქმედებს გაეროს კონგრესი დამნაშავეობის აღკვეთასა და სისხლის სამართლის მართლმსაჯულებაზე (2000 წლამდე მას ეწოდებოდა სხვაგვარად: გაეროს კონგრესი დამნაშავეობის აღკვეთასა და სამართალდამრღვევებთან მოქცევაზე). კონგრესი იკრიბება ხუთ წელიწადში ერთხელ და განიხილავს მიმდინარე პერიოდში დამნაშავეობასთან ბრძოლის ყველაზე საჭირბოროტო პრობლემებს.

სამართალდარღვევათა პროფილაქტიკის სუბიექტების განხილვა იკვეთება ისეთი სპეციალიზირებული ორგანოს შექმნასთან დაკავშირებული პრობლემის შესწავლასთან, რომელიც დაკავებული იქნება დანაშაულთა და და სხვა სამართალ-დარღვევათა აღკვეთით, როგორც ძირითადი და ერთადერთი საქმიანობით. პირველ რიგში, უნდა განისაზღვროს, თუ რა მოცულობის უფლებამოსილებები სამართალდარღვევათა პროფილაქტიკაზე იქნება შესრულებული მოცემული სტრუქტურის მიერ: სტრატეგიული საქმიანობა (საინფორმაციო-ანალიტიკური, მეთოდური) - კონკრეტული გეგმების (პროგრამების), რეკომენდაციების, პროფი-ლაქტიკის მეთოდიკებისშემუშავება) ან ტაქტიკურიბსაქმიანობა - პროფილაქტიკის ზომების უშუალო განხორციელება.

მიგვაჩნია, რომ „სტრატეგიული“ ორგანო შეიძლება შექმნილ იქნეს სახელ-მწიფო მართვის ორგანოების სისტემაში. მოცემულ შემთხვევაში ის ემორჩილებოდეს იქნება რესპუბლიკა ბელარუსის მთავრობას. მოცემული სტრუქტურის ძირითად ამოცანებს მიეკუთვნებოდეს იქნება დამნაშავეობისა და სხვა სამართალ-დარღვევების პრობლემების შესწავლას, სამართალდარღვევათა პროფილაქტიკაზე ზომებისა და რეკომენდაციების შემუშავება ცალ-ცალკე პროფილაქტიკის თითოეული სუბიექტისთვის ტერიტორიული, ეკონომიკური და სხვა თავისებურებების სპეციფიკის გათვალისწინებით. შესაბამისი სტრუქტურები - ადგილობრივი აღმასრულებელი და განმკარგულებელი ორგანოების

განყოფილებები - უნდა იქმნებოდნენ ადგილებზეც.[33] განყოფილებები დაკომპლექ-ტებულ უნდა იქნენ მაღალკვალიფიციური სპეციალისტებით, რომლებმაც გაიარეს სპეციალური მომზადება, გადამზადება, კვალიფიკაციის ამაღლება: სოციოლოგებით, იურისტებით, ფსიქოლოგებით, სოციალური პედაგოგებით. მოცემული მიდგომა პრიორიტეტულია დამნაშავეობის სოციალური ხასიათიდან, პროფილაქტიკური ღონისძიებების კომპლექტურობიდან და მრავალგვგმურობიდან გამომდინარე[34]. შესაძლებელია „სტრატეგიული" სტრუქტურის შექმნა პროკურატურაში ან იუსტიციის ორგანოების სისტემაში. რესპუბლიკა ბელარუსის გენერალური პროკურატურა (ან რესპუბლიკა ბელარუსის იუსტიციის სამინისტრო) მსგავს შემთხევაში ახორციელებდეს იქნება სამართალდარღვევათა პროფილაქტიკაზე საქმიანობის უშუალო მართვას, წარმოადგენდეს იქნება მთავარ მაკოორდინერებელ ორგანოს.

მიგვაჩნია, რომ „ტაქტიკური" სტრუქტურების შექმნა შესაძლებელია შინაგან საქმეთა ორგანოების საფუძველზე რესპუბლიკა ბელარუსის შინაგან საქმეთა სამინისტროსადმი დამორჩილებით. სამართალდარღვევათა პროფილაქტიკით დაკავებული განყოფილება შეიძლება იქმნებოდეს საზოგადოებრივი უსაფრთ-ხოების მილიციის ბაზაზე ან გამოყოფილ იქნეს პროფილაქტიკის დეპარტამენტად. მოცემული ქვესისტემა პროფესიულ საფუძველზე დაკავებული იქნება დამნაშა-ვეობისა და სხვა სამართალდარღვევების აღკვეთით სამართალდამცავი და სხვა სახელმწიფო ორგანოებთან (ორგანიზაციებთან), აგრეთვე, საზოგადოებრივ ორგა-ნიზაციებთან ურთიერთქმედებაში.

საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილება (მაგალითად, იტალიაში შექ-მნილი უზენაესი კომისარიატი კორუფციის აღკვეთაზე) მიუთითებს სახელმწიფო მართვის რესპუბლიკური ორგანოების (რესპუბლიკა ბელარუსის მთავრობის) სტრუქტურაში დამოუკიდებელი კომიტეტის ან ორგანიზაციის - დანაშაულთა და სამართალდარღვევათა პროფილაქტიკის საკითხებით დაკავებული კომიტეტის

---

[33] Д.В. Шаблинская , Субъекты профилактики правонарушений НЦЗПИ http://center.gov.by/ (გადამოწმებულია 10.05.2019)

[34] იქვე

შექმნის შესაძლებლობა.

რესპუბლიკა ბელარუსის შექმნილი საგამომძიებლო კომიტეტის ანალოგიურად, დანაშაულთა და სამართალდარღვევათა აღკვეთის საკითხებით დაკავებული კომიტეტი შეიძლება წარმოადგენდეს არა სამთავრობო ორგანოს, არამედ უშუალოს ემორჩილებოდეს რესპუბლიკა ბელარუსის პრეზიდენტს.

ასეთი კომიტეტის შექმნის შემთხვევაში ის შეიცავდეს იქნება ქვეგანყოფილებებს, რომლებიც ჭრიდნენ იქნება დამნაშავეობასთან და სხვა სამართალდარღვევებთან ბრძოლის როგორც სტრატეგიულ, ისე ტაქტიკურ ამოცანებს. შესაძლებელია, სწორედ ასეთმა შექმნილმა ორგანომ შეძლოს საკუთარ თავზე კრიმინალური რისკების განსაზღვრისა და გამოვლენის ფუნქციების აღება (და, შესაბამისად, ნორმატიული სამართლებრივი აქტების პროექტების კრიმინოლოგიური ექსპერტიზის შესრულება), საზოგადოების ცხოვრების ყველა სფეროზე დამნაშავეობისა და სხვა სამართალდარღვევათა დეტერმინანტების გავლენის გამოკვლევა და თავიდან აცილება.

ბელორუსიაში სპეციალიზირებული სუბიექტის შექმნასთან ერთად პროფილაქტიკის სისტემის მართვის ფუნქციები შეიძლება გადავიდეს რესპუბლიკა ბელარუსის პრეზიდენტთან ან რესპუბლიკა ბელარუსის პრემიერ-მინისტრთან (დანაშაულთა და სამართალდარღვევათა აღკვეთის საკიტხებით დაკავებული კომიტეტის შექმნისას), რესპუბლიკა ბელარუსის შსს-ში ან რესპუბლიკა ბელარუსის იუსტიციის სამინისტროში ან დარჩეს რესპუბლიკა ბელარუსის გენერალ პროკურატურასთან მიბმული[35].

მოცემული კომიტეტი წარმოადგენდეს სამართალდამცავ ორგანოს. ასეთი კომიტეტის უფლებამოსილებები საკმაოდ ფართო უნდა იყოს: წვდომა სახელმწიფო ორგანოების (ორგანიზაციების) ყველა დოკუმენტთან და მონაცემთა ბაზებთან, უფლებამოსილებები პროფილაქტიკის სხვა სპეციალური სუბიექტების საქმიანობის მონიტორინგის განხორციელებაზე და სხვა. ჩამოყალიბებულის გათვალისწინებით, დანაშაულთა და სამართალდარღვევათა პროფილაქტიკის საკითხებით

[35] Д.В Шаблинская ., Субъекты профилактики правонарушений НЦЗПИ http://center.gov.by/ (გადამოწმებულია 10.05.2019)

დაკავებული კომიტეტის შექმნის შესახებ წინადადებების შეტანა საჭიროებს დამატებით კვლევას, საფუძვლიან არგუმენტაციას და დეტალურ დასაბუთებას.

სამართალდარღვევათა პროფილაქტიკის კონკრეტული სუბიექტების დადგენას, განსაზღვრასა და აღწერას ხელს უწყობს მათი კლასიფიკაცია.

ყველაზე „ფართო“ კლასიფიკაციად უნდა ვაღიაროთ სამართალდარღვევათა პროფილაქტიკით დაკავებული ორგანოების (ორგანიზაციების) და მოქალაქეების დაყოფა პროფილაქტიკის სუბიექტებად და მონაწილეებად. სუბიექტებისაგან განსხვავებით, პროფილაქტიკის მონაწილეებს მიეკუთვნებიან ისეთი ორგანოები (ორგანიზაციები) და მოქალაქეები, რომლებსაც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით არ აქვთ მინიჭებული სამართალდარღვევათა პროფილაქტიკაზე საქმიანობის განხორციელების უფლებები და ვალდებულებები. ისინი, რომლებიც გასაანალიზებელი კლასიფიკაციის შესაბამისად მიეკუთვნებიან სამართალდარღვევათა პროფილაქტიკის სუბიექტებს (სახელმწიფო ორგანოები (ორგანიზაციები), სხვა ორგანიზაციები, მოქალაქეები, რომელთა კომპეტენციაში კანონმდებლობის საფუძველზე შედიან უფლებამოსილებები სამართალდარღვევათა პროფი-ლაქტიკის განხორციელებაზე) შეიძლება დავყოთ: ა) ძირითად ან სპეციალიზი-რებულ სუბიექტებად (სამართალდაღვევათა პროფილაქტიკისათვის სპეციალურად შექმნილებად); ბ) დამხმარე ან არასპეციალიზირებულ სუბიექტებად (განსაზღვრულ ჩარჩოებში კრიმინოლოგიური პროფილაქტიკის განხორციელების ვალდებულება შედის მათ კომპეტენციაში სხვა უფლებამოსილებებთან ერთად).

სპეციალიზირებული სუბიექტისთვის სამართალდარღვევათა პროფილაქ-ტიკა უნდა წარმოადგენდეს ერთადერთ, ან პროფილირებად, ან ერთ-ერთ ძირითად ფუნქციას. სპეციალიზირებულ სუბიექტებს უნდა მივაკუთვნოთ სამართალ-დამცავი ორგანოები, რომლებისთვისაც ზოგადია დანიშნულება დამნაშავეობასთან და სხვა სამართალდარღვევებთან ბრძოლისთვის, პროფილაქტიკის ჩათვლით (პროკურატურის, შინაგან საქმეთა, სახელმწიფო უშიშროების ორგანოები, ფინან-სური გამოძიებების დეპარტამენტი, საგამომძიებლო კომიტეტი), კონტროლირებადი

ორგანოები, სასამართლოები და ზოგიერთი სხვა სახელმწიფო ორგანო კანონმდებლობის შესაბამისად.

სამართალდარღვევათა პროფილაქტიკაში პირველხარისხოვანი როლი მიეკუთვნება სამართალდამცავ ორგანოებს. სამართალდამცავი ორგანოების აბსოლუტური უმრავლესობა ასრულებს დანაშაულთა და სხვა სამართალდარღვევათა აღკვეთის ფუნქციებს დამნაშავეობასთან ბრძოლის სფეროში სხვა ფუნქციების განხორციელებასთან ერთად ან მის პროცესში. უნდა ვაღიაროთ, რომ ძირითადი (სპეციალიზირებული) სახელმწიფო ორგანო, რომელიც დაკავებული იქნება სამართალდაღვევათა პროფილაქტიკით, საქართველოში დღემდე არ არის შექმნილი, რაც, ჩვენი აზრით, საკმაოდ ნეგატიურ გავლენას ახდენს დანაშაულთა და სხვა სამართალდარღვევათა აღკვეთის ეფექტურობაზე.

სამართალდარღვევათა პროფილაქტიკის სპეციალიზირებულ სუბიექტად შეიძლება გამოვიდნენ საზოგადოებრივი ფორმირებები. წესრიგის დაცვის საზოგადოებრივი პუნქტები, ნებაყოფლობითი სახალხო რაზმები, სამრთალდამცავი ორგანოების უშტატო თანამშრომლები - სულაც არა ყველა კანონით დარეგულირებული ფორმებია, რომლებშიც საზოგადოება ასრულებს სამართალდარღვევათა პროფილაქტიკის ფუნქციებს. საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან, სამართალდამცავი ორგანოებისა და სხვა ორგანიზაციების მიერ მოსახლეობისთვის დახმარების გაწევასთან ერთად.

სპეციალიზირებულ სუბიექტებს უნდა მივაკუთვნოთ სახელმწიფო-საზოგადოებრივი ორგანოები - სადამკვირვებლო კომისიები, კომისიები არასრულწლოვანთა საქმეებზე და სხვ.

დამხმარე (არასპეციალიზირებული) სუბიექტები წარმოქმნიან პროფილაქტიკის სუბიექტების დამოუკიდებელ ჯგუფს. ძირითადი (სპეციალიზირებული) სუბიექტებისაგან მოცემული ჯგუფის მთავარ განსხვავებას წარმოადგენს მათი კომპეტენციის ხასიათი და შინაარსი: დანაშაულთა და სხვა სამართალდარღვევათა აღკვეთის ფუნქცია არ არის მათთვის ერთადერთი, პროფილირებადი ან ძირითადი (ერთ-ერთი ძირითადი) ფუნქცია. არასპეციალიზირებულ სუბიექტებს, უპირველეს

ყოვლისა, უნდა მივაკუთვნოთ რესპუბლიკა ბელარუსის პრეზიდენტი, საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოები. ისეთი არასპეციალიზირებული სახელმწიფო სუბიექტების საქმიანობასთან მიმართებაში, როგორებიცაა პრეზიდენტი, პრეზიდენტის ადმინისტრაცია, უშიშროების საბჭო და მასთან შექმნილი კომისიები (მათ შორის უწყებათაშორისი), ყველა დონის საკანონმდებლო ხელისუფლების ორგანოები, უნდა მივუთითოთ ის, რომ ისინი, უპირველეს ყოვლისა, ახორციელებენ მართველობას (ამ სიტყვის ფართო გაგებით) კრიმინოლოგიური პროფილაქტიკის სისტემით.

ორგანიზებული დანაშაულობის არსის სირთულისა და დიდი მნიშვნელობიდან გამომდინარე, მის განსასაზღვრავად სხვადასხვა ქვეყნების მეცნიერები დიდხანს მუშაობდნენ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, "ორგანიზებული დანაშაულობის" უნივერსალური ცნების ჩამოყალიბება მაინც ვერ მოხერხდა[36].

ტრანსნაციონალური და ორგანიზებული დამნაშავეობის მაჩვენებლების ზრდიდან გამომდინარე საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით ევროპის ქვეყნებში სულ უფრო მეტი ყურადღება ეთმობა დანაშაულთან ბრძოლის სტრატეგიული ამოცანების გადაწყვეტის ერთობლივი გზების ძიებას. ამ მხრივ დიდი მნიშვნელობა ენიჭება ქვეყნებს შორის საპოლიციო ორგანოების კოორდინაციის გაღრმავებას მათი მუშაობის მიზნებისა და მეთოდების სტანდარტიზაციის კუთხით.

საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვის ახალი გამოწვევები გავლენას ახდენს პოლიციის ორგანოების საერთაშორისო თანამშრომლობის დინამიკაზე: მეტი ყურადღება ეთმობა საზღვრების კონტროლს, მიმდინარეობს ევროკავშირის შიგნით შიდა ინსტიტუციური განვითარების დაჩქარება , სისტემატურ ხასიათს იღებს პოლიციის ოფიცერთა ერთობლივი წვრთნები და გამოცდილების გაზიარება.

თანამედროვე მსოფლიოში დანაშაულის გლობალიზაციის შედეგად დანაშაულის სახეების, მიზეზებისა და მასშტაბების ზრდასთან ერთად განსაკუთრებული

[36]დ. მესხიშვილი ორგანიზებული დანაშაულობის კრიმინოლოგიური და სისხლისსამართლებრივი დახასიათება საქართველოში (დისერტაცია) ბ. 2012 გვ.12

მნიშვნელობა ენიჭება დანაშაულის პრევენციას და პრევენციის ფარგლებში საპოლიციო ფუნქციების ახლებურ გააზრებას.

დანაშაულის პრევენცია მოიაზრებს სახელმწიფოსა და კერძო პირებისა თუ დაწესებულებების მცდელობას, პროგრამებსა და ღონისძიებებს, რომლებიც მიმართულია დანაშაულის, როგორც საზოგადოებრივი ფენომენისა თუ ინდივიდუალური გამოვლინების თავიდან აცილების, შემცირებისა და მისი შედეგების შესუსტებისაკენ. სწორედ ამიტომ იგი განიხილება არა სისხლის სამართლის მართლმსაჯულების შემადგენელ ნაწილად, არამედ დანაშაულის კონტროლის უფრო ფართო სფეროდ, რომელიც სცდება საპოლიციო, სისხლისა და სასჯელაღსრულებით სამართალს და ვლინდება სოციალურ, სიტუაციურ და მესამე დონის პრევენციაში. პირველი მათგანი ზოგადი ხასიათისაა და საზოგადოების სხვადასხვა აქტორის, ინსტიტუციის, საგანმანათლებლო დაწესებულებების, უფრო იშვიათად პოლიციისა და იუსტიციის მონაწილეობით განუსაზღვრელად, კონკრეტულ ჯგუფებზე ორიენტირების გარეშე სოციალური, საგანმანათლებლო, კულტურული და სხვა სახის პოლიტიკით მიზნად ისახავს ისეთი პირობების შექმნას, რომ საქმე დევიაციურ და დანაშაულებრივ ქმედებამდე არ მივიდეს. ამ შემთხვევაში სახელმწიფოს პოლიტიკა ნაკლებად შემზღუდველია და გრძელვადიანი მიზნების დასახვით სოციალურ ცვლილებებზე ორიენტირებული პოლიტიკით მოქმედებს[37].

დანაშაულის სიტუაციური პრევენცია უკვე დანაშაულის წარმოშობის დაბრკოლებას ემსახურება და აქ მთავარ როლს სამართალდამცავი ორგანო ასრულებს. ამ შემთხვევაში დანაშაულის პრევენციის მიზანს საფრთხის მდგომარეობაზე, პოტენციურ სამართალდარღვევასა და კრიმინოგენულ სიტუაციაზე გავლენის მოხდენა წარმოადგენს. სიტუაციური პრევენცია ყურადღებას ამახვილებს კონკრეტულ ჯგუფებზე, ინდივიდებსა და გარემოებებზე, როდესაც სამართალდამრღვევად თუ მსხვერპლად ქცევის რისკი მაღალია. იგი პირდაპირ თუ არაპირდაპირ დანაშაულისა და მის მიმართ არსებული შიშის დაბრკოლების/თავიდან აცილებისა და ამგვარად საზოგადოებაში უსაფრთხოების შეგრძნების გაძლიერებისკენ არის

[37]სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის პროგრესის მეცხრე ანგარიში, იანვარი-დეკემბერი თბ. 2017, გვ.9-13

მიმართული. სახელმწიფოს პოლიტიკა სიტუაციური პრევენციის დროს ადამიანის თავისუფლებაში ჩარევის მაღალი ინტენსივობით ხასიათდება და მყისიერ შედეგზე ფოკუსირდება. მესამე დონის პრევენცია დანაშაულის ჩადენის შემდეგ რეციდივის თავიდან აცილებას, პირის რესოციალიზაციასა და რეაბილიტაციას ემსახურება. მნიშვნელოვანია, რომ დანაშაულის პრევენციასთან მიმართებით სახელმწიფოს ჰქონდეს ერთიანი პოლიტიკა და სტრატეგიის დოკუმენტი, რომელიც დანაშაულის პრევენციაზე პასუხისმგებელი სხვადასხვა უწყების კოორდინაციას მოახდენს და დანაშაულის პრევენციის მიზნის მისაღწევად გრძელვადიან გეგმებს დასახავს. დანაშაულის პრევენციის სამივე ფორმის განხორციელებისას მნიშვნელოვანია მთლიანი საზოგადოების მონაწილეობა და კოოპერაცია, სახელმწიფო ინსტიტუტების, არასამთავრობო ორგანიზაციების, კერძო სექტორის წარმომადგენლების ჩართულობა, დანაშაულის პრევენციის სპეციალური დაწესებულებების შექმნა, დამოუკიდებელი აქტორების, სისხლის სამართლის ორგანოების მონაწილეობა, დანაშაულის პრევენციის მეცნიერული კვლევა და ამ საკითხზე ყურადღების გამახვილება ასევე მედიის საშუალებით, ვინაიდან დანაშაული მრავალი მიზეზითაა განპირობებული და სხვადასხვა დონეზე სამიზნე ჯგუფების მიხედვით განსხვავებულ ღონისძიებებს მოითხოვს[38]. თანამედროვე სამართალდამცავი უწყების ერთ-ერთი მთავარი ფუნქცია დანაშაულის პრევენციაა. პოლიციის მიერ პრევენციული საქმიანობის ფარგლებში საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და მართლწესრიგისთვის საფრთხის შემცველი ქმედებების საწყის ეტაპზევე თავიდან აცილება სახელმწიფოსთვის ბევრად პრიორიტეტულია, ვიდრე მოგვიანებით რეპრესიული საგამოძიებო მოქმედებები, უკვე დამდგარ მართლსაწინააღმდეგო შედეგთან მიმართებით. ამ საფუძვლით პოლიცია კანონით გათვალისწინებული უფლებამოსილებებით არის აღჭურვილი, რომელიც დანაშაულის პრევენციის ბუნებიდან გამომდინარე, ზოგად საფრთხეს მიემართება, კანონის შესაძლო გადახვევიდან დაზღვევის მიზნით. დანაშაულის პრევენციის არსი დანაშაულის

[38] დანაშაულის პრევენცია (საპოლიციო კონტროლის რისკები) ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC) 2017, გვ.13

მიზეზებში და არა კონკრეტული პირების თავისუფლებაში ჩარევაა. იმ შემთხვევაში, როდესაც სამართალდამცავიორგანო პრევენციული ღონისძიების დროს კონკრეტულ ადამიანებს და არა დანაშაულის მიზეზებს უპირისპირდება, აღნიშნული პრევენციული ღონისძიებები რეპრესიულ ხასიათს იძენს. ეს კი სახელმწიფოს დანაშაულის პრევენციის მიზნით მოქალაქეთა განუსაზღვრელი წრის მიმართ თავისუფლების, პირადი ხელშეუხებლობის უფლებაში ინტენსიურად ჩარევის შესაძლებლობას აძლევს და არ გამორიცხავს ამგვარი ჩარევის ტოტალურ ხასიათს, ვინაიდან იგი განუსაზღვრელ პირთა წრისკენაა მიმართული.[39]

სახელმწიფოს მიერ დანაშაულის პრევენციის პოლიტიკის დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში მნიშვნელოვანია პასუხისმგებლობის გადანაწილება სახელმწიფოს სხვადასხვა ინსტიტუტსა თუ კერძო აქტორებზე, რაც გამორიცხავს სამართალდამცავი ორგანოს, როგორც პრევენციული უფლებამოსილებების განმახორციელებელი რგოლის ხელში ძალაუფლების კონცენტრაციას და სახელმწიფოს პრევენციული პოლიტიკის მხოლოდ ცალმხრივად – მოქალაქეთა თავისუფლებაში ინტენსიურად ჩარევის გზით გატარებას. დანაშაულის პრევენციის ღონისძიებებთან დაკავშირებით სახელმწიფოს მიდგომის შესაფასებლად უნდა განიხილებოდეს სხვადასხვა უწყების პოლიტიკისა და სტრატეგიის დოკუმენტები, რაც ცხადყოფს, რომ სახელმწიფოს დანაშაულის პრევენციასთან დაკავშირებით ერთიანი პოლიტიკის დოკუმენტი არ გააჩნია. დანაშაულის თავიდან აცილების მიზნით პრევენციული ღონისძიებების გატარება მეტწილად საპოლიციო ღონისძიებებით არის შესაძლებელი და სხვა მიმართულებით ამ საკითხზე ქვეყანაში არსებული პოლიტიკა და სტრატეგიები სუსტია.

სსიპ დანაშაულის პრევენციის სტრატეგიული გეგმა[40] ზოგადი ხასიათისაა და ითვალისწინებს როგორც პირველი დონის პრევენციას, კერძოდ – საზოგადოების მართლშეგნების ამაღლებას, ჯანსაღი ცხოვრების წესის

[39] დანაშაულის პრევენცია (საპოლიციო კონტროლის რისკები) ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC) 2017, გვ.17

[40] იხ. სსიპ დანაშაულის პრევენციის ცენტრის სტრატეგიული გეგმა http://prevention.gov.ge/uploads/files/strategicplan.pdf (გადამოწმებულია 1-.05.2019)

პოპულარიზებას და დანაშაულის პრევენციის კუთხით საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფის ჩართულობის გაზრდას, ასევე რისკჯგუფებთან მუშაობას და დელიქვენტური ქცევის კონტროლს, თუმცა იგი უმეტესწილად ყურადღებას უთმობს დანაშაულის მესამეულ პრევენციას, რაც მსჯავრდებულთა რეაბილიტაცია-რესოციალიზაციას გულისხმობს. სტრატეგია განსაკუთრებით გამოყოფს არასრულწლოვანთა განრიდებისა და მედიაციის პროგრამის განვითარებას. უნდა აღინიშნოს, რომ სსიპ დანაშაულის პრევენციის სტრატეგიული გეგმა სოციალურ პრევენციაზე განსაკუთრებით არასრულწლოვნებთან მიმართებით აკეთებს ხაზგასმას.

• საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2017 წლის 25 მაისის N275 ბრძანება, საზოგადოებაზე ორიენტირებული პოლიციის კონცეფციის დამტკიცების შესახებ, დანაშაულის პრევენციას მოიაზრებს იმ საპოლიციო სტრატეგიებისა და ზომების ერთობლიობად, რომელიც ტრადიციული საპოლიციო საქმიანობისგან განსხვავებით დანაშაულის შემცირებას სხვადასხვა ინიციატივის განხორციელებით ისახავს მიზნად და ამის ერთ-ერთ ინსტრუმენტად მიიჩნევს საზოგადოებაზე ორიენტირებული პოლიციის (სოპ) ინსტიტუტის დანერგვას. აღნიშნულ კონცეფციაში პირდაპირ არის მითითებული, რომ დანაშა-ულზე/სამართალდარღვევაზე პოლიციის რეაგირების შიში დღეს მოქმედი საპო-ლიციო პრევენციის ერთადერთი გამოხატულებაა, რაც მოსახლეობასა და სამარ-თალდამცავებს შორის პარტნიორული, ნდობაზე დამყარებული ურთიერთობის ჩამოყალიბებას შეუძლებელს ხდის. აღნიშნული პრობლემის გადაჭრის გზად კონცეფციაში მითითებულია პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვის სტრატეგიის შემუშავება, რომლითაც სამართალდამცავები იხელმძღვანელებენ პრევენციული საქმიანობის დროს. კონცეფციით გათვალისწინებულია ასევე ორგანიზაციული ცვლილებებით მოსახლეობის პოლიციისადმი ნდობის ამაღლება. აღნიშნული მოიცავს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის შემადგენლობაში ახალი სტრუქტურული ერთეულის შექმნას, რომელიც მიმართული იქნება სოპ-ის კონცეფციის ელემენტების განხორციელებაზე და დაკომპლექტდება ახალი, საზოგადოებაზე ორიენტირებული ოფიცრებით, რომლებიც გადაწყვეტილების

პროცესში მეტი ავტონომიით ისარგებლებენ. აღნიშნული ოფიცრები ჩაანაცვლებენ უბნის ინსპექტორების ინსტიტუტს. დადებითად უნდა შეფასდეს კონცეფციით გათვალისწინებული ნორმატიული ბაზის შექმნა, რომელიც ასახავს/განმარტავს პრევენციული საქმიანობის ფარგლებში განსახორციელებელ და დაგეგმილ მოქმედებებს. აღნიშნულის მიუხედავად, კონცეფციაში არაფერია ნათქვამი პოლიციის შესახებ კანონით გათვალისწინებულ საპოლიციო პრევენციულ უფლებამოსილებებზე, რომელიც საზოგადოებაზე ზედამხედველ რეპრესიულ ინსტიტუტად რჩება და მათი არსებობის პირობებში კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს საზოგადოებასა და პოლიციას შორის ნდობაზე დამყარებული ურთიერთობის ჩამოყალიბებას და ამ გზით დანაშაულის პრევენციის მაჩვენებლის გაზრდას.

• შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის 2017-2020 წლების ეროვნული სტრატეგიით, ცალკეა გათვალისწინებული „ქურდული სამყაროს“, ნარკოტრანზიტისა და კიბერდანაშაულის წინააღმდეგ პრევენციული მექანიზმებით ბრძოლა[41]. სტრატეგია პირველად პრევენციაზე აკეთებს აქცენტს და ითვალისწინებს ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში მოქალაქეთა ცნობიერების ამაღლების ღონისძიებებს, სამართალ-დამცავთა პროფესიული უნარის გაუმჯობესებას და ასევე ამ სფეროში არსებული პრობლემების იდენტიფიცირებას ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობით.

• დანაშაულის პრევენციას ეხება, ასევე, სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს 2016 წლის სტრატეგია, რომელიც შესავალში საქართველოს მთავრობის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტად სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემის რეფორმის ფარგლებში დანაშაულის ეფექტიან პრევენციას, დანაშაულის დონის შემცირებასა და საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფას მიუთითებს. სტრატეგია ითვალისწინებს რეაბილიტაციაზე, რესოციალიზაციასა და დანაშაულის

[41]ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის 2017-2020 წლების სტრატეგიის ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმის განხორციელების მონიტორინგის ანგარიში https://info.police.ge/uploads/5c262bd12e564.pdf

პრევენციაზე ორიენტირებული ინდივიდუალური მიდგომის დანერგვასა და განვითარებას, რაც მესამე დონის პრევენციის ფარგლებში ხორციელდება. ამის მიუხედავად, შეიძლება ითქვას, რომ დანაშაულის პრევენციასთან დაკავშირებით ამ სტრატეგიის სამომავლო სამოქმედო გეგმები უპირატესად საპოლიციო პრევენციის გაძლიერებაში გამოიხატება. ამ სტრატეგიაში ცალკე თავად არის გამოყოფილი პოლიცია და დანაშაულის პრევენცია, რომელშიც შინაგან საქმეთა სამინისტროს სამომავლო ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად პოლიციის საგამოძიებო და პრევენციული ფუნქციების გაძლიერებაა დასახელებული, დანაშაულის პრევენციის, დანაშაულზე სწრაფი რეაგირებისა და პოლიციის მიერ საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და მართლწესრიგის დაცვის უზრუნველსაყოფად.

• სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის 2016 წლის სტრატეგია საპოლიციო პრევენციული უფლებამოსილებების გაზრდასთან ერთად მნიშვნელოვნად მიიჩნევს პროკურატურის როლის გამოკვეთას დანაშაულის პრევენციის პროცესში. აღნიშნულ დოკუმენტში პროკურატურის ფარგლებში გათვალისწინებულია დანაშაულის პრევენციის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შექმნა და დანაშაულის პრევენციის ერთიანი პოლიტიკის შესაქმნელად სხვა სამართალდამცავი უწყებების აქტიური ჩართულობით შესაბამისი კვლევების წარმოება, პრევენციული ახალი ღონისძიებების დაგეგმვა-განხორციელება და აღნიშნულის მონიტორინგი, ასევე, პრევენციული მიზნების მისაღწევად საჭირო საკანონმდებლო ცვლილებები[42].

• საქართველოს პროკურატურა, როგორც ერთადერთი უწყება, რომელსაც უშუალო კავშირი აქვს ყველა საგამოძიებო ორგანოსთან (და იმავდროულად სასამართლოსთან) და, შესაბამისად, დანაშაულის პრევენციის სფეროში მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლია, თავის 2017-2021 წლების სტრატეგიაში დანაშაულის პრევენციის არსებულ მდგომარეობასთან დაკავშირებით პირდაპირ მიუთითებს, რომ ამ სფეროში საზოგადოების ჩართულობა ძალიან შეზღუდულია. სტრატეგიის თანახმად, საზოგადოების წევრები ნაკლებად არიან ჩართულები პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვასა და განხორციელებაში. არ არსებობს მექანიზმი,

[42] სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის პროგრესის მეცხრე ანგარიში, იანვარი-დეკემბერი თბ. 2017, გვ.24-33

რომელიც საზოგადოების წევრებს მისცემს პრევენციული ღონისძიებების ინიცირების, დაგეგმვისა და წარმართვის შესაძლებლობას. პრევენციული ღონისძიებების შემუშავებისას არ ითვალისწინებენ მეცნიერულ მიდგომებს. სამეცნიერო წრეების წარმომადგენლები ფაქტობრივად არ მონაწილეობენ დანაშაულთან ბრძოლის მექანიზმების შემუშავების პროცესში. მოცემულ ეტაპზე არ არსებობს გატარებული პრევენციული ღონისძიების ბაზა, სტანდარტი და შეფასების მექანიზმი. შესაბამისად, სამართალდამცავ უწყებებს არ აქვთ ყველაზე ეფექტიანი პრევენციული ღონისძიებების გამოვლენის შესაძლებლობა[43].

სტრატეგიების მიმოხილვა აჩვენებს, რომ სახელმწიფოს მიერ დანაშაულის პრევენციასთან დაკავშირებული ერთიანი და ცხადი პოლიტიკის არარსებობის პირობებში დანაშაულის პრევენციის ფუნქციას დიდწილად სამართალდამცავი ორგანო ითავსებს და ამ მიზნის მიღწევას მხოლოდ პრევენციული საპოლიციო ღონისძიებებით ცდილობს

[43] სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის პროგრესის მეცხრე ანგარიში, იანვარი-დეკემბერი თბ. 2017, გვ.45-62

თავი III. კვლევის შედეგები

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე მნიშვნელოვანია კიდევ ერთხე აღინიშნოს, რომ დანაშაულობა, როგორც ნეგატიური სოციალური მოვლენა, სათანადოდ აისახოს საზოგადოების მსოფლმხედველობაში, შესაბამისად, საზოგა-დოებისა და სახელმწიფოს რეაქცია დანაშაულობაზე (სოციალური კონტროლი) არ უნდა იყოს უშედეგო. აუცილებელია, სახელმწიფომ და საზოგადოებამ მიმართონ ისეთ ზომებს, რომლებიც მოიტანენ მეტ სარგებელს, ვიდრე ზიანს; ასეთებად კი, უპირველეს ყოვლისა, ალტერნატიული იუსტიციის ფორმირება და სასჯელის ჰუმანიზაციის პროცესების ტენდენცია გვესახება. სოციალური კონტროლის მექანიზმების განვითარებამ შესაძლებელი გახადა ჩავწვდომოდით იმ ჭეშმარიტებას, რომ სისხლის სამართლებრივი სასჯელები მხოლოდ უმნიშვნელო გავლენას ახდენენ დანაშაულობაზე. საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ საქართველოში ჯერჯერობით არ არის სათანადოდ შემუშავებული სტრატეგია და დანაშაულობაზე ზემოქმედების არარეპრესიულული რეაქციის ნორმატიული საფუძვლები. დღეისათვის, დანაშაულობის წინააღმდეგ სახელმწიფო პოლიტიკის გატარება საჭიროებს კრიმინოლოგთა აქტიურ ჩარევას.

მეცნიერული თვალსაზრისით, თეორიულად, დანაშაულობაზე სოციალური კონტროლი თანმიმდევრულად და ეტაპობრივად ხორციელდება, რაშიც მთავარ როლს დანაშაულობის წინააღმდეგ ზომების ჰუმანიზაცია თამაშობს. აუცილებელია

შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის შექმნა და სხვადასხვა სახელმწიფო თუ რეგიონალური პროექტების განხორციელება. ასევე, მნიშვნელოვანია, რომ კრიმინოლოგიური თეორიები, კრიმინოლოგიის დასკვნები მაქსიმალურად აისახოს სახელმწიფოსა და საზოგადოების პრაქტიკულ საქმიანობაში.

თანამედროვე პირობებში, საქართველოში კრიმინოგენური ვითარების გაუმჯობესებისათვის მიზანშეწონილია გატარდეს მთელი რიგი პრაქტიკული ღონისძიებანი, კერძოდ: - სისხლის სამართლის რეპრესიის მინიმუმამდე დაყვანა და სისხლის სამართლის კანონმდებლობის გათავისუფლება ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულთაგან. ჩვენი აზრით, არავითარ საჭიროებას არ წარმოადგენს ისეთ ქმედებათა სისხლის სამართლის წესით დაკვალიფიცირება, როგორიცაა მაგალითად ისეთი ქმედებები, რომელთაც მიკუთვნებული აქვთ დანაშაულის სტატუსი და რეგულირდებიან სისხლის სამართლის წესით. მსგავსი ქმედებები საზოგადოებისათვის უმნიშვნელო საფრთხეს წარმოადგენენ და ამდენად აბსოლუტურად საკმარისია მათ მიმართ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ან სამოქალაქო სამართლებრივი ზომების გამოყენება.

გვსურდა აღვენიშნა, რომ საზოგადოება, როგორი ჰუმანური და შემწყნარებელიც არ უნდა იყოს, არ შეუძლია დაუშვას დანაშაულებრივი ქცევის არსებობა. ის ყოველთვის აღკვეთს მას და დამნაშავეებისადმი გამოიყენებს სახელმწიფო იძულების სხვადასხვა ზომებს. წინააღმდეგ შემთხვევაში ამას შეეწირება ათასობით სიცოცხლე, მისი წევრების ჯანმრთელობა, პატივი, ღირსება, სიმშვიდე, ქონება. მოქალაქეებიც ვერ აიტანენ ისეთ მთავრობას, რომელიც ართმევს მათ უფლება არ იყოს დანაშაულთა მსხვერპლი. დამნაშავეობა და პოლიტიკა ყოველთვის იყვნენ ერთმანეთთან დაკავშირებულნი.

ზემოთ ჩამოყალიბებულიდან გამომდინარე, უნდა განვმარტოდ სწორედ დამნაშავეობასთან ბრძოლა მისი სრული მოცულობითაც. დამნაშავეობასთან ბრძოლის განუყოფელ ნაწილს ხომ წარმოადგენს როგორც მოწესრიგებული და მაქსიმალურად ზუსტი ცნებითი აპარატი, ისე მისი თეორიული გააზრება. რასაც აქვს ძალზე დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა . ჩვენს

დროში ცვლილებები თვით დამნაშავეობასა და დამნაშავეობასთან ბრძოლის სფეროში ხდება იმდენად სწრაფად, რომ ანალიტიკური მუშაობის შედეგად მიღებული მონაცემები ძალზე სწრაფად ძველდება.

საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, პრევენციული ფუნქციის გატარება გულისხმობს, ზოგადად, სახელმწიფო უსაფრთხოებისა და უშიშროებისთვის საფრთხის შემცველი ქმედებების გამოვლენას, სისხლისსამართლებრივი და ადმინისტრაციული სამართალდარღვევების თავიდან აცილებას, აგრეთვე საზოგადოებრივი წესრიგისათვის საფრთხის შემცველი ფაქტორების აღკვეთას.

და ბოლოს, აცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ უნდა გაგრძელდეს დანაშაულთან აქტიური და ეფექტური ბრძოლა, დანაშაულობათა გამოვლენა და რეაგირება მის ჩადენამდე, რაც განაპირობებს საზოგადოებრივი წესრიგის, დაცულობისა და უსაფრთხოების შენარჩუნებას.

კრიმინოლოგიურ ლიტერატურაში წარმოდგენილია სამართალდარღვევათა პროფილაქტიკის სუბიექტების კლასიფიკაციები სხვადასხვა საფუძვლებისა და ნისნების მიხედვით. ყველაზე გავრცელებულია სუბიექტების კლასიფიკაცია პროფილაქტიკის დონეების მიხედვით: ა) ზოგად-სოციალური პროფილაქტიკის სუბიექტები; ბ) სპეციალური პროფილაქტიკის სუბიექტები; გ) ინდივიდუალური პროფილაქტიკის სუბიექტები.

სუბიექტები წარმოადგენენ დანაშაულთა და სხვა სამართალდარღვევათა პროფილაქტიკის სისტემის საჭირო ელემენტს, გამოდიან რა ორგანიზაციულ-მმართველობით რგოლად გამაფრთხილებელი ზომების რეალიზაციის მექანიზმში. სამართლის ზოგადი თეორიის დებულებათა გათვალისწინებით შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა იმის შესახებ, რომ სამართალდარღვევათა პროფილაქტიკის სუბიექტებს შეიძლება წარმოადგენდნენ ორგანოები (ორგანოზაციები, ფიზიკური პირები, რომლებსაც გააჩნიათ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ვალდებულებები და უფლებები სამართალდარღვევათა პროფილაქტიკის სფეროში, რომლებას შესწევთ უნარი პასუხი აგონ სამართალდარღვევათა პროფილაქტიკის შესახებ კანონმდებლობის დარღვევისთვის.

უნდა აღინიშნოს, რომ კანონში სამართალდარღვევათა პროფილაქტიკის სუბიექტის განსაზღვრება არ არის. სამართალდარღვევათა პროფილაქტიკის სისტემის აგებისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს ეკონომიკური და სხვა პოტენციალი, თითოეული სუბიექტის სხვა თავისებურებები. ახალი სუბიექტის განსაზღვრისას მკაფიოდ უნდა იქნეს გაწერილი მისი უფლებამოსილებები და ფუნქციები, აღმოვფხრათ ან არ დავუშვათ წინააღმდეგობები, სხვა სუბიექტების უფლებამოსილებათა დუბლირება. ამასთან ერთად, მოცემული ქვესისტემა უნდა იქნეს საკმაოდ მოქნილი, მათ შორის, უნდა გავითვალისწინოთ განსაზღვრულ შემთხვევებში შესაბამის სუბიექტებს შორის ცალკეული ფუნქციების გადანაწილების შესაძლებლობა.

კრიმინოლოგიური პროფილაქტიკის ობიექტების სიმრავლე და მრავალფეროვნება წინასწარ განსაზღვრავს მასში მნიშვნელოვანი რაოდენობის სუბიექტების მონაწილეობის აუცილებლობას, რომლებიც განსხვავდებიან სტატუსით და ფუნქციებით, უფლებებისა და ვალდებულებების შინაარსით, საქმიანობის ფორმებითა და მეთოდებით, სხვა ნიშნებით.

დასკვნა

ამრიგად, წარმოდგენილი ნაშრომით შევეცადეთ ზოგადად აგვეხსნა დანაშაულთან ბრძოლის ადგილი და როლი საზოგადოებაში და სამართალდამცავ სისტემაში. შევეცადე ჩამომეყალიბებინა დასკვნები, რეკომენდაციები და წინადადებები, რომლებიც გააუმჯობესებდა სახელმწიფოში არსებულ სიტუაციას. დღევანდელმა მდგომარეობამ სათანადო მუხტი უნდა მისცეს საზოგადოებაში საერთო მდგომარეობის გაუმჯობესების დასაწყისს და წარმოდგენილი მასალე-ბიდან სასურველია მოხდეს სათანადო წინადადებების და რეკომენდაციების დალაგება-დახასიათება და შემდგომი მსვლელობის მიცემა. დამნაშავეობასთან ბრძოლის პრობლემა, სხვა ურთულეს პრობლემებთან ერთად, კვლავ რჩება ხელისუფლების უმნიშვნელობანეს საზრუნავად. თუ გავითვალისწინებთ დამნაშავეობის გეოგრაფიას, დამნაშავე პირთა წრეს, დანაშაულის ფორმებს და ხასიათს, შეიძლება ითქვას, რომ საქმე გვაქვს საზოგადოებრივ ურთიერთობათა

კრიმინალიზაციის მასშტაბურ პროცესებთან, რომელთა შეჩერება არსებითად უკავშირდება ქვეყნის პირველხარისხოვანი ამოცანების გადაწყვეტას. საგანგებო მსჯელობის საგანია ის მიზეზები, რომლებიც დამნაშავეობის ზრდას განაპირობებს. დამნაშავეობა არ არის ლოკალური მოვლენა ის უკავშირდება პროცესებს, რომ-ლებიც თან ახლავს ერთი სისტემის სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინსტიტუტების დაშლას, ახალი პოლიტიკური და სოციალური ურთიერთობების ფორმირებას. თანამედროვე ეტაპზე ხელისუფლებამ ყველა ღონე უნდა იხმაროს ადამიანების ცხოვრების და საქმიანობის ნორმალური პირობების უზრუნ-ველსაყოფად, რისი მიღწევა შეუძლებელია დამნაშავეობასთან ბრძოლაში, სერიოზული გარდატეხის გარეშე. ამასთან, საჭიროა სინამდვილის ადეკვატური სამართლებლივი პოლიტიკის გატარება, რომლის ერთ-ერთი საფუძველი ღრმად მოფიქრებული, სისტემური კანონმდებლობაა.

როგორც ყველა პოსტსოციალისტურ ქვეყანაში, საქართველოში მიმდი-ნარეობს ეროვნული კანონმდებლობის ჩამოყალიბების პროცესი. მუშაობენ სხვა-დასხვა კომისიები, მაგრამ კოდიფიცირებული აქტების მომზადებას დრო სჭირდება. ამიტომ, საჭიროა კონკრეტული პრობლემების ანალიზ, ყურადღების შეაჩერება დამნაშავეობის იმ ფორმებსა და სახეებზე, რომლებმაც უკანასკნელი პერიოდში, საზოგადოებისთვის განსაკუთრებით საშიში ხასიათი შეიძინეს. მათ წინააღმდეგ ბრძოლა ითხოვს ორგანიზაციულ და იურიდიულ მოწესრიგებას.

დამნაშავეობასთან ბრძოლა დღეს ეროვნული პროგრესის და ინტერესების გატარების აუცილებელი პირობაა. თუ ვერ მოხერხდეება მოქალაქეების სიმშვიდის დაცვა, საამისოდ საჭირო სამართლებლივი და ორგანიზაციული ინსტიტუტების ჩამოყალიბება, ამით ფერხდება ქვეყნის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ განვითარება. ეს კანონზომიერება უნდა გაითავისოს როგორც სასამართლო, აღმასრულებელმა, ისე საკანონმდებლო ხელისუფლებამ. დაიცვას ფიზიკურ და იურიდიულ პირთა უფლებების მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისაგან; განხორ-ციელდეს პრევენციული ღონისძიებები დანაშაულისა და სხვა სამართალდარ-

ღვევების შესაძლო საფრთხის თავიდან აცილებისა და აღკვეთის მიზნით, აგრეთვე დამნაშავეობასთან ბრძოლის ტაქტიკისა და სტრატეგიის შემუშავების მიზნით.

ჩემის აზრით დანშაულთან ბრძოლის ყველაზე ეფექტური მეთოდი არის დანაშაულის წარმომშობი მიზეზის დადგენა და ამ მიზეზთან ბრძოლა დანაშაულის ჩადენამდე. სწორედ ამსთან დაკავშირებით შეიქმნა „შსს მართლწესრიგის ოფიცრის“ სამსახური, რომლის მიზანიც არის დანაშაულთან ბრძოლა მის ჩადენამდე.

რაც შეეხება „მართლწესრიგის ოფიცრის“ სამსახურის შექმნას მე ვემხრობი და მომწონს, ეს როგორც მოქლაქეებისთვის ასევე ქვეყნისაცა მნიშვნელოვანი, მაგრამ ჩემი აზრთ უფრო ეფექტური იქნებოდა, რომ აღნიშნული სამსახური არ შედიოდეს შსს-ს შემადგენლობაში და იყოს ცალკე სამინისტრო, ვინაიდან ბევრად უფრო ეფექტური იქნებოდა ცალკეული დეპარტამენტების ჩამოყალიბება, რომლებიც იმუშავებდნენ კონკრეტული დანაშაულებების აღმოფხვრაზე, რადგან თითქმის წარმოუდგენელია ერთმა სტრუქტურამ ეფექტურად ებრძოლოს ყველა სახის დანაშაული წარმომშობ მიზეზებს.

გამოყენებული ლიტერატურა

მონოგრაფიები

1. გაბუნია მ., დანაშაულობის განსაზღვრის თანამედროვე მიდგომები. ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“ №1(24) 2010;
2. დანაშაულის პრევენცია (საპოლიციო კონტროლის რისკები) ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC) 2017;
3. დონჯაშვილი თ. საქართველოს სისხლის სამართალი, თბ., 2002;
4. ზოიძე ბ., საკონსტიტუციო წესრიგი და ღირებულებათა კონტროლი საქართველოში, თბ., გამომც. „ბონა კაუზა“, 2003;

5. კრიმინოლოგია და სამართალდამცავი სისტემა საქართველოში”, გ. ღლონტის რედაქციით. თბ. 2008;

6. კრიმინოლოგია. (თ. წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი), რედაქტორი გ. ღლონტი, თბ. 2008 ;

7. კოდუა ე. “სოციოლოგია”. I I ნაკვეთი. თბ. 1998;

8. კუბლაშვილი კ., „ძირითადი უფლებები“, თბ., გამომც. „ბონა კაუზა“, 2008;

9. კვაშილავა ა., კრიმინოლოგია, როგორც დამნაშავეობასთან ბრძოლისათვის აუცილებელი მეცნიერება//სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი „კრიმინოლოგი“ 2010 1(5) ;

10. მესხიშვილი დ. ორგანიზებული დანაშაულობის კრიმინოლოგიური და სისხლისსამართლებრივი დახასიათება საქართველოში (დისერტაცია) თბ., 2012;

11. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი 2015 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით. თბ. 2015;

12. ქართველოს ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული სტრატეგია თბ. 2013 ;

13. ნაჭყებია გ. სისხლისსამართლებრივი ურთიერთობა და დანაშაულის ცნება, თბ. 2002;

14. ნაჭყებია გ. “სისხლის სამართლის მეცნიერების საგანი”. თბ. 1998;

15. ნაჭყებია გ. სისხლის სამართალი, (ზოგადი ნაწილი), თბ. 2011;

16. შაქარაშვილი მ., შავგულიძე ქ. დამნაშავის ფსიქოფიზიოლოგიური თავისებურებები// სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი „კრიმინოლოგი“, 1(5), 2010;

17. წულაია ზ. “კრიმინოლოგია”. ზოგადი ნაწილი. თბ. 2003;

18. ჯანაშია ჯ. XXI საუკუნის გამოწვევა; მონოგრაფია. თბილისი 2002 ;

19. ჯანაშია ჯ., კრიმინოლოგიური კვლევების როლი რეგიონალური პრობლემების გადაწყვეტაში/ კრიმინოლოგი 2010 1(5);

20. საქართველოს კანონი ტერორიზმთან ბრძოლის წინააღმდეგ;

უცხოური ლიტერატურა

21. Shur E.M. Our criminal society / E.M. ShurM.: Knowledge, 2004;

22. Borodin S.V. Fighting crime: theoretical model of integrated program / S.V. Borodin. M., 2009;

23. Laine M. Criminology and sociology of rejected behavior. Prison Service Training Center // International Publications.1994. № 1;

24. Азарова Ирина Владимировна, Предупреждение и актуальные проблемы борьбы с преступностью//ОБЩЕСТВО И ПРАВО, 2012, № 4 (41) ;

25. Долгова А.И. Криминология / А.И. Долгова. М.: Знание, 2000;

26. Скобликов П.А. Взыскание долгов и криминал. М., 1999; Кудрявцев В. Н. Стратегия борьбы с преступностью. М., 1997;

27. Цыплакова О.Г. Организованная преступность в России: факторы развития и меры контроля / О.Г. Цыплакова // Организованная преступность в России: философский и социально-политический аспекты. М.: Криминологическая ассоциация, 2010;

სასამართლო პრაქტიკა

28. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 19/12/2008 წლის გადაწყვეტილება N454, II-2;

29. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 26/12/2007 წლის გადაწყვეტილება N407, II-4;

ნორმატიული აქტები

30. საქართველოს კონსტიტუცია, თბ., 1995 (ახ. რედ.);

31. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, თბ., 1999;

32. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია, რომი 1950 წლის 4 ნოემბერი;

33. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, 2011;

ვებ. გვერდები

34. www.justice.gov.ge (გადამოწმებულია 10.05.2019);

35. http://center.gov.by/ (გადამოწმებულია 10.05.2019);

36. prevention.gov.ge (გადმოწერილია 05.05.2019);

37. https://www.matsne.gov.ge/ (გადმოწერილია 25.05.2019);

38. https://police.ge/ (გადმოწერილია 25.05.2019);